წელიწადი მესამე   ფასი 10 კაპ.   პარასკევი, 1917 წ. თიბათვის 9 (21)

საქართველო

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „საქართველოს" რედაქციასა და კანტორაში ყოველდღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9—3-მდე.
ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობანი.
რედაქცია და კანტორა იმყოფება: თბილისში, მოსკოვის ქუჩაზე, № 4.
ტელეფონი 15—73
ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ ред. газ. „Сакартвело", поч. ящикъ № 76

განცხადებანი
ჩვეულებრივ [illegible] გვერდზე პეტიტით ღირს 30 კ., უკანასკნელზე—20 კ., კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი 1 გვ. ღირება 50 კ. 4-ზე 30 კ., ტექსტში—80 კ. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ ზომით 15×2 ღირს 6 მ.; 20×2 ღირს 8მ., 25×2 ღირს 10მ. 3 საათის შემდეგ (მიიღება მხოლოდ ა. კალანდაძის სტამბაში) ღირ. მეტი.
თვიურად გაზეთი ღირს 2 მანეთი.

№ 123   ყოველდღიური გაზეთი ეროვნულ-დემოკრატიულ მიმართულებისა   № 123

ხვალ შაბათს, თიბათვის 10 ს კუკიის წმ. ნინოს ეკლესიაში გარდახდილი იქნება ნახევარ წლის წირვა და პანაშვიდი

გიორგი რევაზის ძის
ყიფიანის

სულის მოსახსენებლად.
რასაც აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ მიცვალებულის ოჯახი.
წირვა დაიწყება 10 საათზე, წირვის შემდეგ პანაშვიდი.

დედა ეკატერინე დავითის ასული მახვილაძისა, მეუღლე ნინო მიხეილის ასული მახვილაძისა და შვილი დიმიტრი ილიას ძე მახვილაძე მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ ხანგრძლივ ავადმყოფობის შემდეგ თიბათვის 6 ში, საღამოს 10 საათზე გარდაიცვალა

ილია გაბრიელის ძე
მახვილაძე

დასაფლავება დღეს, თიბათვის 9-ს, წმიდა ნინოს საასაფლაოზე. მიცვალებულს სახლიდან გამოასვენებენ დილის 10 საათზე. კირპიჩნი შესახვევი № 7.
1—672—1

ახალი კლუბის საზაფხულო შენობა
შაბათს, 10 ივნისს
სოციალ-დემოკრატიულ გაზ. „ალიონის"
ფონდის გასაძლიერებლად გაიმართება
დიდი საღამო

წარმოდგენით და საკონცერტო განყოფილებით
მონაწილეობას მიიღებენ ქართული დრამის მსახიობნი ვასო და ტასო აბაშიძენი და სხვ.
სიმღერის პროფესორის რიადნოვის სტუდია
საღამო შესდგება სამი განყოფილებისაგან:
I. განყ. ქართული წარმოდგენა
„რაც არ მერგება, არ შემერგება"
ვოდ. 1 მოქ.
II. განყოფილება
ნ. ქართველიშვილის ხელმძღვანელობით შესრულებულ იქნება სხვა და სხვა სამუსიკო №№-ბი სტუდიის მოწაფეთაგან.
Ш. განყოფილება
აღმოსავლეთური ცეკვა
საღამოსათვის ბაღში მოწყობილი იქნება კიოსკები, პტი-შვო, კონფეტი, ფოსტა და სხვა გასართობები. საღამოსთვის მოწვეულია კლუბის ორკესტრი და
დუდუკი.
დასაწყისი საღამოს 8½ საათზედ.
ბილეთები ამ თავითვე ისყიდება „ალიონის" რედაქციაში.
1—724—2   გამგე საღამოსი ანნა ქავთარაძისა.

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის
მეორე რაიონის კომიტეტი
ამით აცხადებს, რომ თანამგრძნობთ წევრებათ ჩაწერა ხსენებულს პარტიაში შეუძლიანთ შემდეგს ბინებზედ: მეორე უბნის ბიუროში, მამადავითის სამრევლო სკოლა თამწინდის ქუჩა № 18, 10—12 საათამდე და საღამოთი 5—8 საათამდე, გაზეთ „საქართველოს" რედაქციაში დილის 10 საათიდან შუადღის 2 საათამდე და ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრც. საზოგ. წიგნის მაღაზიაში—ვანო ავალიშვილთან, დილის 9 საათ. საღამოს 6 საათამდე.
6—669—4

გამოცემა კნ. ეკატერინე მიხ. ერისთავისა
ნ. ბარათაშვილის ლექსები
და წერილები
სრული აკადემიური გამოცემა სურათებით.
გამოცემაში დაიბეჭდება სრული ტექსტი ერთის ვარიანტისა და აღნიშნული იქნება ყოველი, სულ მცირე განსხვავებაც, დანარჩენ ვარიანტებისა. წიგნს დართული ექნება ვრცელი ბიოგრაფია და წერილები ნ. ბარათაშვილის შემოქმედების შესახებ:
ს. გორგაძის—„ნ. ბარათაშვილის ლექსის ფორმა".
ე. თაყაიშვილის—„ხელთნაწერის მიმოხილვა".
ნ. დუბროვსკის—„მსოფლიო სევდა და ნ. ბარათაშვილი".
ი. მეუნარგიას—„ცხოვრება და პოეზია ნ. ბარათაშვილისა".
გრ. რობაქიძის—„ნიკო ბარათაშვილი".
დ. უზნაძის—„პოეტის სული".
გარდა ამისა თვითეულ ლექსს ექნება დაწვრილებითი ისტორიულ-ბიბლიოგრაფიული განმარტება.
წიგნი შემკული იქნება სამოცზე მეტი სურათით (იმ ადგილებისა და პირების, რომელნიც მოხსენებულნი არიან ნ. ბარათაშვილის ლექსებსა და წერილებში) და პოეტის მრავალის ავტოგრაფით.
წიგნის ფასი ხელის მოწერით სამ მანეთ-ნახევარია (3—50). სამასი ცალი დაიბეჭდება სქელ ქაღალდზე და ეღირება ხუთი მან.
(10—555—11)

კვირას, თიბათვის 11-ს 1917 წ.
ქართველთა შორის წერა-კითხვის გამ. საზოგადოების სასარგებლოდ ახალ კლუბის ბაღში გაიმართება
დიდი სახალხო სეირნობა
ლატარია-ალეგრით
წმინდა შემოსავლის 10% გადაიდება ომისაგან დაზარალებულთა ოჯახების სასარგებლოდ.
გასართობები ბავშვებისათვის და დიდებისათვის:
პტი-შვო, ბედნიერების კლიტე, დედოფალა, ყვავილები, ფოსტა, რგოლების სროლა, ბედნიერების ბორჯა, ტუმბო, საბავშვო გასართობები, კიოსკები და სხვა.
სეირნობის დროს დაუკრავს სამხედრო მუსიკა და ხაზანდარი.
დასაწყისი დღის 3 საათზე
შესასვლელი ფასი დიდებისათვის 60 კ. მოწაფეთა და პატარებისათვის 35 კ.
3—726—1

სახალხო სახლი
პარასკევს, თიბათვის 9-ს 1917 წ.
სცენის მოყვარეთა მიერ მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება
ყაჩაღები
ტრაგედია 7 სურათად შილერისა.
ბილეთების ფასი 1—49-დან 15 კაპ. ◆ დასაწყისი საღ. 8½ საათზე.
გამგე მეტრეველი.
3—723—3

საყოველთაო სიძვირე დღითი-დღე იზრდება. ამ სიძვირეს რასაკვირველია ვერ ასცდა გაზეთის გამოცემის საქმეც.

სულ მოკლე ხანში აწყობისა და ბეჭდვის ხარჯი ერთი-სამად გადიდდა, მოიმატა სხვა ხარჯებმაც. ამიტომ იძულებული ვართ, დროებით გავადიდოთ გაზეთის ფასი.

მაისის ოციდან „საქართველოს" თითო ნომერი

ღირს 10 კაპ.

ამასთანავე პირველ ივნისიდან მომატებული იქნება ხელის-მოწერის ფასიც. წლის ბოლომდე 1 ივნისიდან ეღირება 10 მან., 3 თვით 5 მან., ხოლო ერთის თვით 2 მან.

იმ ხელის მომწერთ, რომელთაც გამოწერილი აქვთ უკვე გაზეთი მთელის წლით, დამატებითი ფული არ გადახდებათ.

ექიმი
მ. ფ. მგალობლიშვილი
ქალებისა და საქირურგიო სნეულებით ავადმყოფთ საღამოს 5—7 საათამდე.
მისამართი: ოლღას ქუჩა № 41, მეორე სართული, ტელ. 9—53.

ექიმი
ბ. მ. მუხაძე
იღებს ხადოსტაქრო ავადმყოფებს საღამოს 5-6 ს. შემდეგ, კვირა დღეს გარდა
მისამართი: დიდი მთავრის ქუჩა № 67; ოფიცერთა საეკონომიო საზოგადოების შენობის პირდაპირ; სახლი სვანიშვილისა. ტელეფონი № 5—77.

ექიმი
მ. დ. წინამძღვრიშვილი
ყოფილი ორდინატორი ხარკოვის უნივერსიტეტის თერაპევტიული კლინიკებისა. შინაგანი სნეულებანი გულისა, ფილტვისა და სისხლის სნეულ. სპეციალურად იღებს საღ. 5—7 საათამდე ყოველდღე გარდა ხუთშაბათისა.
მიხეილის პროს. № 86, მეორე სართული.

ექიმი
მ. გ. ვეფხვაძე
ტომსკის უნივერსიტეტის ვენერიულ კლინიკის ორდინატორად ნამყოფი, იღებს ავადმყოფებს კანისა და ვენერიულის სნეულებით ყოველ დღე 3—5 საათამდე, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ, რაზიეზდის ქუჩა, № 19.

ექიმი ქალი
ე. ივ. გაბარჯაშვილი-მათეშვილისა.
იღებს ავადმყოფებს:
დილით 9—2 საათ. საღ. 5—7 საათ.
ჩერქეზიშვილის და რუსთაველის ქუჩის კუთხე № 20.

ექიმი
მ. ი. ზარნაძე
იღებს ბავშვთა და შინაგან სნეულ. ავადმყოფებს ყოველ დღე, კვირა-დღის გარდა საღამოს 5—7 საათამდე, ბარონსკის ქ. № 4. (ж.—202—)

ექიმი
ე. ლ. შალამბერიძე
იღებს სასქესო და საშვილოსნოს ავადმყოფთ საღამოს 5—7 საათამდე.
მისამართი: პეტროგრადის ქუჩა № 7.

დოქტორი მედიცინისა
[illegible]
კალანდარიშვილი
უმცროსი ექიმი თბ. [illegible]
ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებათ ავადმყოფებს მიიღებს [illegible] ქ. № 2

თბილისი, თიბათვის 9.

„აჯანყებული მონები"

რუსეთის რევოლიუციას ბევრმა სასასტიკი მსჯავრი დასდო: რევოლიუციონერები „აჯანყებული მონები" არიან, რომელთაც თვითონაც არ იციან, რა უნდათო". ერთი თვალის გადავლებით თითქოს ეს მართალია, მდგომარეობა უნუგეშოა. ანარქიის შავი ნიშნები თანდათანობით მკვეთრდება. რუსეთის პროვინციებში უწესოება უწესოებას მოსდევს. კრონშტადტი ერთგვარს რესპუბლიკას იარსებს, სცემს თავის ფულს (ბონებს), იგონებს საკუთარს საბეჭდავ შრიფტს, იქით კიდევ სასტიკი იაკობინელი ლენინი და მისი მომხრენი არეულობის ცეცხლს ანთებენ ასტრახანში, კირსანოვში, ივანოვო-ვოზნესენსკშიაც კი, სადაც „მენშევიკთა" უმრავლესობა იყო, მუშათა დეპუტატების საბჭო გაადაყენეს და თავიანთი კაცები დააყენეს.

ამ სასტიკი კრიზისის დროს თითქოს უძლური გამოდგა კოალიციური სამინისტროც, რომ ქვეყანა განსაცდელისაგან იხსნა. დღეს წერეთლისა და კერენსკის უანგარო მუშაობა ვერ აკმაყოფილებს რუსეთის ფართო მასსას, უკვე უკმაყოფილების ხმა გაისმის ფართო წრეებში. თვით მუშათა საბჭოების კრებებზე პეტროგრადიდან მოყოლებული თბილისამდე უკვე გაისმის გულ-ახდილი ხმა მუშებისა, რომ მემარცხენე პარტიები მოუმზადებელნი შეხვდნენ რევოლიუციას, მმართველობისთვის უძლურნი არიანო. ამითი აიხსნება ის გარამოება, რომ თვითონ სოც.-რევოლიუციონერებმა გააშავეს თავიანთ კრებაზე ლიდერი პარტიისა და დღევანდელ რევოლიუციის ერთგვარი მძღვალი—კერენსკი. პოლიტიკური პარტიების ჯირითი და უკმეხი კრიტიკა, ერთ-ურთის დამცირება გულ-გატეხილ ადამიანს სწორედ იმ აზრს უბადებს, რომ რუსეთი, მართლაც, ჯაჭვ-აწყვეტილი საცოდავი მონაა, რომელმაც არ უწყის, როგორ გამოიყენოს მოპოვებული თავისუფლება.

სადაა ხსნა? ზოგს სითამამე შერჩენია „კეთილ წარსულისკენ" გაიხედოს ვარდისფერ სათვალეებით, მოითხოვოს, რომ ნანგრევებზე გამოსულმა ახალმა მთავრობამ სასწაული მოახდინოს, სრული წესრიგი შეიტანოს ჯარში, აწეწილ-დაწეწილს ცხოვრებაში. უკვე სამზადისში არიან, რომ მომავალ მთელი რუსეთის საბჭოზე სოც.-რევ. და კადეტთა პარტიიდან შეადგინონ „ბურჟუაზიული სამინისტრო". ადვილად შესაძლებელია ეს ასე მოხდეს, მაგრამ ისიც მოსალოდნელია, რომ ისიც მალე დაითხოვონ. შორს არ უნდა იყოს ის დროც, როდესაც კაბინეტი წმინდა „პროლეტარული" იქნება. თუ ეს განხორციელდება, მაშინ დადგება მეორე ფაზა რუსეთის რევოლუციისა, რომელსაც შეგვიძლია ვუწოდოთ პროლეტარიატის დიქტატურის ხანა. თავისთავად რუსეთის მომავლისთვის არავითარ საშიშროებას არ შეადგენს, თუნდაც რომ ეს მოხდეს, ვინაიდგან მაშინ უფრო ნათელი იქნება მთელი რუსეთისთვის, თუ რა ძალა, რის უნარი შესწევს დღეს გაბატონებულს, მაგრამ მძიმე მოვალეობის წინაშე წარმდგარს სოციალისტურს პარტიებს. სულ სხვაა სხვის მოქმედების კრიტიკა და სულ სხვაა მოქმედება, თვითშემოქმედება. როდესაც სოციალისტ-მინისტრები სინამდვილის წინაშე თავიანთ თეორიების ფარხმალით წარსდგებიან, მაშინ მიხვდებიან რა არის ორგანიზაცია შრომისა, წარმატებისა, მაშინ დაინახავენ თუ როგორ უნდა გატარდეს ბრძოლის ველზე ცეცხლის ჩასაქრობად წამოყენებული, თუნდაც ვსთქვათ, უწყინარი ფორმულა—„ზავი უანექსიოდ და უკონტრიბუციოდ", ან და, რაც უმთავრესია, როგორ და რით უნდა გასძღეს მშიერი გლეხობა, რომელიც გაღებულ პირით დაკმაყოფილების მოითხოვს და თანაც მუშტმოღერებით იმუქრება.

თქმა არ უნდა, რუსეთის სინამდვილე ჯერ კიდევ შორსაა შავს ანარქიისაგან, რომ „აჯანყებულ მონებზე" ვიფიქროთ კიდეც. ჩვენ გვწამს, რომ რუსეთი ამ ვაებიდან ისევე გამოვა, როგორც საფრანგეთი რევოლუციის ქარცეცხლიდან გამოვიდა, მთლად არ ჩანაცრდა. მაგრამ ვიდრე ასეთი განწმენდის ფაზა დადგებოდეს, ვიდრე რუსეთი დაახწევს ანარქიის გამწვავებას, საშიშია მხოლოდ ერთი რამ, სახელდობრ ის, რომ სასტიკ იაკობინელ—ლენინმა და მისმა მიმდევრებმა რევოლუციის მზორგავ ტალღებიდან უეცრივ კავენიაკები და კორსიკელი ბონოპარტეები არ ამოაცურონ.

ავტონომია და ფედერალიზმი

ქართველ სოციალ-დემოკრატების თეორეტიულ მოღვაწეობის მთავარ საგანს შეადგენდა დასავლეთ ევროპის უმწვერვალესად განვითარებულ ქვეყნების ნიადაგზე აღმოცენებულ სხვა და სხვა სოციალ-ეკონომიურ თეორიების გაცნობა და მათი გადმონერგვა ჩვენს მწირსა და ხრიოკ ნიადაგზე. სოციალ-ფედერალისტების თავი-დათავი ყურადღება მიპყრობილი იქნა ევროპის „პოლიტიკურ ცხოვრების განვითარებით წარმოშობილ ახალ სახელმწიფოებრივ ფორმისაკენ-ფედერალიზმისაკენ.

სოციალისტ ფედერალისტები დიდის გულმოდგინებითა და ინტერესით ეცნობოდენ დასავლეთ ევროპის ზოგიერთ სახელმწიფოთა ფედერატიულ წეს-წყობილების ხასიათსა და შინაარს და ცდილობდნენ მსგავსი პოლიტიკური წყობილების შემოღებას რუსეთის იმპერიაში.

როგორც სოციალისტური აზრების გავრცელება უნაყოფო და მავნებელი შეიქმნა ქართულ ეროვნულ ცხოვრების წარმატების თვალსაზრისით, აგრეთვე უნიადაგო და შეუფერებელი გამოდგა ფედერალიზმის ქადაგება რუსეთის სახელმწიფოს ფარგლებში მყოფ ეროვნებათა შორის სასურველ ურთიერთობის დასამყარებლად.

ჩვენი შეხედულება ფედერალიზმზე ყველასათვის რომ გასაგები და ნათელი დარჩეს, საჭიროთ ვრაცხთ ახლავე გამოვაცხადოთ, რომ ჩვენ სრულიადაც არ უარვყოფთ ფედერატიულ პრინციპს; პირიქით, მიგვაჩნია, რომ იგი უძვირფასესი და უშესანიშნავესი ნაყოფია დასავლეთ ევროპის პოლიტიკურ ვითარების ნიადაგზე ნაზარდი, აღმოცენებული და გაფურჩქვნილი წარსულ საუკუნის განმავლობაში, მხოლოდ თუ ჩვენი შეხედულებით შეუძლებელია რუსეთის და მის ხელქვეით მყოფ ეროვნებათა შორის ფედერატიული კავშირის დამყარება, ამის მიზეზი თვით ამ ფედერატიული წეს-წყობილების ბუნებაში უნდა ვეძიოთ და არა სხვაგან სადმე. ამ კითხვის გამოსარკვევათ საჭიროა დაახლოვებით მაინც გავეცნოთ იმ საფუძველს, რომელზედაც ემყარება ძველი და ახალი ქვეყნების სახელმწიფოთა ფედერატიულ პრინციპზე აგებული პოლიტიკური მართვა-გამგეობა. ავიღოთ შვეიცარია, ეს უაღრესათ დემოკრატიული ქვეყანა, სადაც განვითარდა და შემუშავდა მტკიცეთ განსაზღვრული სახის მქონე პოლიტიკურ ფედერატიული ორგანიზაცია.

შვეიცარიის ფედერატიული სახელმწიფო შეიცავს 22 კანტონს; თვითეულ კანტონს საკუთარი ავტონომიური წეს წყობილება აქვს მინიჭებული: თავის საკუთარი საკანონმდებლო დაწესებულებანი, პოლიცია, სწავლა-განათლების ორგანოები და სასამართლო მოეპოება. ერთი სიტყვით თვითეულ კანტონს უფლება აქვს მოაწყოს თავისი შინაური ცხოვრება ისე, როგორც მას სურს და არავის არ შეუძლია ხელი შეუშალოს მას ამ საქმეში. ამნაირი კანტონი წარმოადგენს პატარა სახელმწიფოს, რომელსაც ამ უკანასკნელის თითქმის ყველა ატრიბუტები მოეპოვება, იმიტომაა, რომ სახელწოდება სახელმწიფო (stat) შერჩენილი აქვს ამ პაწია თვითმართველ პოლიტიკურ ორგანიზაციას, კანტონს. ყველა ეს ავტონომიური კანტონები თავს იყრიან და ერთმანეთს უკავშირდებიან საერთო ინტერესების დაცვის მიზნისათვის. კანტონების ამნაირ კავშირიდან შედგა ორი უმაღლესი საკანონმდებლო დაწესებულება, საერო საბჭო conseil national), სადაც ყოველი კანტონი გზავნის წარმომადგენლებს მცხოვრებათა რაოდენობის მიხედვით და სახელმწიფოთა საბჭო (conseildes stats), რომელშიაც თვითეულ კანტონიდან, სულ ერთია დიდი იქნება იგი თუ პატარა, იგზავნება ორი დეპუტატი. საერო და სახელმწიფოთა საბჭოები შვეიცარიის უმაღლეს სასამართლო დაწესებულებასთან ფედერატიულ სანსჯავროსთან ერთად,

შეადგენენ შვეიცარიის ფედერატიულ ორგანოებს, რომლის მთავარ დანიშნულებას შეიცავს საერთო საქმეებზე ზრუნვა: დიპლომატიური მოლაპარაკების გამართვა გარეშე სახელმწიფოებთან (საგარეო პოლიტიკის წარმოება), საერთო სამშობლოს თავდაცვის მიზნისთვის თავდარიგის დაჭერა საკმაოთ ძლიერი სამხედრო ორგანიზაციის შექმნის მეოხებით, ფედერატიულ კავშირში მყოფ, სხვა და სხვა კანტონებს შუა ატეხილ დავის მოწესრიგება და თვალ-ყურის დევნა, რომ რომელიმე კანტონმა ან რამოდენიმემ ერთად არ დაარღვიონ ზემოხსენებულ საერთო დაწესებულებათა მიერ შემუშავებული ყველა კანტონებისათვის სავალდებულო დადგენილებანი და სხვა.

ამნაირად, შვეიცარია, მიუხედავად იმისა, რომ იგი დაყოფილია 22 პატარა ავტონომიურ სახელმწიფოებათ, (Etats) ამ პოლიტიკურ ავტონომიის მქონე ერთეულთა ფედერაციის წყალობით, ერთს მთლიან ეროვნულ ორგანიზაციას წარმოადგენს.

ამნაირივე ხასიათის გახლავს დაახლოვებით ავსტრალიის, კანადის, შეერთებული შტატების და კონტინენტის დანარჩენ ფედერატიული სახელმწიფოთა პოლიტიკური წეს-წყობილება. ამერიკის ფედერაცია 47 შტატისაგან შესდგება; თვითეული შტატი იმგვარივე პოლიტიკური უფლებებით არის აღჭურვილი, როგორც შვეიცარიული კანტონი.

შეერთებულმა შტატებმაც შექნეს, შვეიცარიის მსგავსათ, უმაღლესი საკანონმდებლო დაწესებულებანი და სასამართლო: სენატი, კონგრესი და ფედერატიული სამსჯავრო.

ყველა ამ უზენაესი ორგანოების დანიშნულება და კომპენტენცია შვეიცარიის ფედერატიული ორგანოების დანიშნულებას და კომპენტენციას უდრის მცირეოდენი განსხვავებით. შეიძლება ითქვას, რომ გერმანიის სახელმწიფოებრივი წყობილებაც ფედერატიულ საფუძველზე არის აგებული.

(შემდეგი იქნება)

ა. თორაძე.

რუსული პრესა

ესტონეთის მოწყობა.

გაზეთ „ბაკუ“-ში გ. გ. ევანგულოვი სწერს:

ვიდრე ჩვენში საქმეებზე მსჯელობენ და ლაპარაკობენ, პოლიტიკურად ჩვენზე მაღლა მდგომი სხვა ერები მმართველობის ახალ ფორმებს ჰქმნიან. რა თქმა უნდა ისინი არ ელიან დამფუძნებელ კრებას, რომელიც, ვინ იცის როდის იქნება და რომელიც უეჭველია არც თუ დიდ ყურადღებას მიაპყრობს ჩვენისთანა პატარა ერების საქმეს. ამ საქმეს დიდი რუსეთის რესპუბლიკის თვალსაზრისით, ხომ არავითარი ინტერესი არა აქვს! პოლიტიკურად ჩვენზე მაღლა მდგომი ერები ანგარიშს არ უწევენ იმას, რომ თავიანთი გაბედული და სამართლიანი მოთხოვნილებებით დროებით მთავრობას დაბრკოლებას უზიადებენ. კაკნონი ესტონეთის მოწყობის შესახებ რევოლუციონურ კანონმდებლობის ერთი პირველ აქტთაგანია. იგი კანონი, ადგილობრივ მოთხოვნილებების მიხედვითაა შექმნილი, ვიდრე ის დებულება, რომელიც ბალტიის მხარის ადმინისტრატიულ მოწყობას შეეხება.

ჩვენთვის იმას პრეცედენტის ინტერესი აქვს. მოსახლეობის სიჭრელით ბალტიის მხარე კავკასიას მოგვაგონებს. სამ ოსტზეის გუბერნიაში (როგორც ამას წინად უწოდებდენ) 1897 წლის აღწერით, მცხოვრებთა რიცხვი 2.386.115 უდრიდა; მათგან ლატიშები—1.070.295; ესტონელნი—884 553; გერმანელნი—165.627; რუსები—128.789, და ებრაელნი—62,686.

კურლიანდიის გუბერნია, რომელიც დღეს გერმანელთ უჭირავთ, დასახლებულია 675 ათას მცხოვრებით, რომელთა 75 პროც. ლატიშები შეადგენენ, ესტლიანდიის გუბერნიაში—412 ათასი მცხოვრებია. მათში 88 პროც. ესტონელებია; ხოლო ლიფლიანდიის გუბერნიაში არც ერთი ერი არ შეადგენს. აბსოლუტურ უმალლესობას ლატიშელები შეადგენენ მთელ მოსახლეობის 43 პროცენტს, ესტონელები—39 პროც., გერმანელნი—7 პროც. და რუსები 5 პროც. მეტად აჭრელებულია ბალტიის ზღვის ახლო მდებარე ქალაქების მოსახლეობა. რიგა, 255 ათასი მცხოვრებით—რომელიც ლიტვის და მასთან მთელი ამ მხრის დედა ქალაქია. მეტად აჭრელებულია მოსახლეობით: ლატიშელები—41 პროც., გერმანელნი 25 პროც., რუსები 17 პროც., ებრაელნი 6 პროც. და პოლონელნი 5 პროც. როგორც მიტავაში, ისე ლიბავაში მცხოვრებლების შედარებითი უმეტესობა ლატიშელები არიან: (მიტავაში 45 პროც. და ლიბავაში 38 პროც.) მეტად კარგ ნაციონალურ პირობებში იმყოფებიან ესტონელები, რომლებიც რეველის მცხოვრებთა უმეტესობას შეადგენენ. რეველის 64 ათასი მცხოვრებია, აქედან 62 პროც. ესტონელები არიან. გერმანელები 16 და რუსები 16. ქ. იურიევში 42 ათასი მცხოვრებია, მათში ესტონელები 68 გერმანელები 6 პროც. და რუსები 9 პროც. ოსტზეის სამ გუბერნიის გარდა ბალტიის მხარეს ეთნოგრაფიულად ეკუთნის ვიტებსკის სამი მაზრა. რამდენიმე სამრევლო ლატიშებით დასახლებული კოვნოს გუბერნიისა და ესტონელებით დასახლებული რამდენიმე ნაწილი პსკოვის და პეტროგრადის გუბერნიებისა. ადმინისტრატიულ საზღვრების ასეთი შეუფერებლობა ძირითად მცხოვრებთა საზღვრებთან, ადგილობრივ საზოგადოების მმართველ წრეთათვის მუდამ პირველხარისხოვან საკითხს წარმოადგენდა. ადმინისტრატიული გარდაქმნა ყველას აუცილებელ საჭიროებად მიაჩნდა, როგორც ერობის ისე სხვა ადგილობრივ საჭირო რეფორმებისათვის. ეს საკითხი მუდამ აინტერესებდა ადგილობრივ ინტელიგენციას, როგორც საერთოდ მშრომელ ხალხის შვილებს. ლატიშელებს და ესტონელთ ღრმად შეგნებული ჰქონდათ რომ ეს საკითხი ადრე თუ გვიან თვითონ უნდა გადაეწყვიტათ და სახელმწიფოს მხოლოდ შეთანხმების შედეგების სანქციონირობა დაეთმობოდა. გამონახული იქმნა სამართლიანი—ორთავ მხარისთვის მისაღები გარდაწყვეტა საკითხისა, ამ გარდაწყვეტას დროებითი მთავრობაც დაეთანხმა.

დროებით მთავრობისაგან ნებადართული დებულება ესტონეთის მოწყობის შესახებ იწყობა იმ გარდაწყვეტილებით, რომლის ძალითაც ესტონელებით დასახლებული ხუთი მაზრა ლიფლიანდიის გუბერნიისა ესტონეთს შეუერთდა, ასე რომ ესტონეთი უკვე თვით განაგებს თავის საქმეებს.

ახალი ესტონეთის გუბერნია, რომელიც თავის სიდიდით რუსეთის საშუალო გუბერნიას უდრის, დაყოფილია მაზრებად და მაზრები კი სოფლის საზოგადოებებად.

ესტონეთს სათავეში უდგა გუბერნიის კომისარი—ორ თანაშემწით—ორგანო საზოგადო-ადმინისტრიულ მმართველობისა; მას გვერდით უდგა გუბერნიის დროებითი საერობო საბჭო ერთპიროვან ან და კოლლეგიურ აღმასრულებელ კომიტეტით—ორგანო ადგილობრივ თვითმმართველობისა· ასევე მოეწყობა მაზრებიც.

გუბერნიის საერობო საბჭო შესდგება მაზრებისა და ქალაქებისაგან ამორჩეულ პირთაგან. 20,000 მცხოვრებზე არჩეული იქმნება თითო წარმომადგენელი. მცირე რიცხოვან ქალაქს ერთ წარმომადგენლის ნება ეძლევა. მაზრის საარჩევნო ყრილობის წევრებს (1,000 კაცზე თითო), ამოირჩევენ. სოფლის საზოგადოებათა ყრილობებზე საერთო განურჩევლად სქესისა, თანასწორ და ფარულ კენჭის ყრით. სოფლის საზოგადოებები, რომელთა მცხოვრებნი 1,000 კაცს არ შეადგენენ, ირჩევენ ერთ წარმომადგენელს. საერობო საბჭოს წევრებად საარჩევნო უფლება ეძლევათ სოფლის საზოგადოების გარეშე მოსახლე პირთაც. ეს დადგენილება იმითაა საყურადღებო, რომ ამორჩევის ოთხწევროვანი ფორმულა ნებადართულია მხოლოდ სოფლის საზოგადოებების არჩევნებში. მაზრის საბჭოს წევრები არჩეულ იქმნებიან არა პირდაპირ, არამედ ორ ან სამ ხარისხოვან არჩევნებით. ასეთ უშმალონობას ესტონელნი პოლიტიკურად განუვითარებელ მხარის თავისებურობებით ხსნიან და დროებითი მთავრობა რა თქმა უნდა, მათ დაეთანხმა.

საგუბერნიო და სამაზრო საერობო საბჭოებში, საქმის საწარმოებლად ადგილობრივი ენა უნდა იყოს გამეფებული. ყველა სხვა მიმართვა სახელმწიფოს ცენტრალ ძალებთან, აგრეთვე ადგილობრივ სამმართველო დაწესებულებებთან, უნდა სწარმოებდეს რუსულ ენაზე.

რაც მიიღეს ესტონელებმა, რა თქმა უნდა, მთლად არ განსაზღვრავს მას, რის მიღებაც ჰსურთ, მაგრამ მათ ის მაინც მიიღეს რაც დღეს ასე ჰსურდათ.

ჩვენ, რაღას მივიღებთ?—როგორც სჩანს არაფერს, რადგან არც არაფერს მოვითხოვთ.

* * *

ომი და ზავი

დეპეშები

მთავარბანაკის ცნობა.

პეტროგრადი. თიბათვის 17. **დასავლეთის, რუმინეთისა და კავკასიის ფრონტებზე** სროლა და მფრინავთა თარეშია.

ინგლისის ბანაკის ცნობა.

ლონდონი. თიბათვის 7. საღამოს ოფიციალი. არასთან ბრძოლის შემდეგ ჩვენ დავიჭირეთ მდ. კონლის სამხრეთით და მდ. სუშეს ჩრდილოეთით მდებარე ადგილი და 35 ტყვე. ღამით მტერზე თავდასხმის დროს ამას გარდა ჩვენ კიდევ 4 სავალე ზარბაზანი წამოვიღეთ.

ლონდონი. თიბათვის 6. ოფიციალი. დილით გერმანელებმა რამდენჯერმე უნაყოფოთ სცადეს წინა დღით დაკარგული ადგილების დაჭერა. ამ ოპერაციების დროს ჩვენ 211 ჯარისკაცი დავატყვევეთ. გუშინ საღამოს მესინის ბრძოლის ხაზზე, ვარნეტონის მიმართულებით ჩვენ წინ წავიწიეთ. არმანტიერის ჩრდილოეთით, ლაკსის რაიონში ორივე მხრივ არტილერია ისროდა. გუშინ ჩვენმა მფრინავებმა მტრის 10 ჰაეროპლანი ჩამოაგდო და 5 დააზიანეს. ჩვენ ორი ჰაეროპლანი გვაკლია.

ლონდონი. თიბათვის 5. ოფიციალი. მონში-ლე-პროს აღმოსავლეთით მტერმა საარტილერიო კონტრ-იერიში მოიტანა ჩვენს პოზიციებზე, რომლებიც ჩვენ თიბათვის პირველს ცხარე ბრძოლის შემდეგ წავართვით. ჩვენი ჯარი იძულებული იყო ზოგიერთი ავანპოსტისათვის თავი დაენებებინა. სკარპის ჩრდილოეთით ღამით საარტილერიო ბრძოლა იყო. მტრის არტილერია მოქმედებდა აგრეთვე იპრის რაიონში.

იტალიის ბანაკის ცნობა

რომი. თიბათვის 7. ოფიციალი. თიბათვის 6. რომბოკის მთის სამხრეთ-აღმოსავლეთით მტერმა მოახერხა და ჩვენს მოწინავე სადარაჯოს მიაღწია, მაგრამ მანამ დაიჭერდა ეს სადარაჯო ჩვენმა ბატარეამ გაანადგურა. მტრის ცდამ, ჯამიანოს ჩრდილო-აღმოსავლეთით უეცარი იერიშის მოტანამ, უნაყოფოდ ჩაიარა. მტერი დიდის ზარალით მოვიგერიეთ.

რომი. თიბათვის 5. ოფიციალი. აზიაგოს ზეგანზე, ფოდიჩესთან მდებარე მაღლობ „652“-ს წინააღმდეგ მტრის იერიშმა უნაყოფოდ ჩაიარა. კარსოს ზეგანზე, ჯამიანოს ჩრდილო-აღმოსავლეთით ჩვენ წინ წავიწიეთ, რის გამო ფრონტი დიდ მანძილზე გავასწორეთ.

მფრინავთა მოქმედება. გორიცასთან ჩვენმა მფრინავებმა მტრის ორი ჰაეროპლანი ჩამოაგდეს, რომლებიც ვერტოიბის აღმოსავლეთით, რინციონასთან დაეცნენ. ფრიჯი-დო-ვიპაკოს დაბლობში ჩვენმა ორმა დირიჟაბლმა ტოლტომინოს გარშემო შემოკრებილ მტრის ჯარს და ჰერმიდას მთაზე მტრის ბატარეიას ყუმბარები დაუშინა.

საფრანგეთის ბანაკის ცნობა.

პარიზი. თიბათვის 6. საღამოს ოფიციალი. მთელს ფრონტზე მშვიდობიანობაა, გარდა კრონშის რაიონისა სადაც უმნიშვნელო საარტილერიო ბრძოლაა. ბრიტანეთის ფრონტზე, ვერჟეს სამხრეთ-აღმოსავლეთით, ბაპომ-კამბრეს გზის მიმართულებით გერმანელების პოზიციებს თავს დავესხით და 11 ჯარის-კაცი დავატყვევეთ.

პარიზი. თიბათვის 6. შამპანში, ბლონ ლა და კორნილეს მთებს შუა გაცხარებული საარტილერიო ბრძოლა იყო. მტრის იერიში, ჩვენს გუშინ დაპყრობილს პოზიციებზე, მოვიგერიეთ მტრისათვის დიდი ზარალით. სენკანტენის აღმოსავლეთით, კოლონის თხრილთან მტრის ცდამ, ჩვენს სადარაჯოს უეცრივ თავს დასცემოდა, უნაყოფოდ ჩაიარა. ჩვენ რამდენიმე ჯარის-კაცი და ერთი აფიცერი დავატყვევეთ.

ახლო აღმოსავლეთი

პარიზი. თიბათვის 6, ოფიციალი. მონასტირის რაიონში ჩვენი არტილერია ენერგიულად უპასუხებდა სროლით მტრისას. თესალიაში ჩვენმა ჯარმა ფერსას მიაღწია და დაიპყრო მნიშვნელოვანი დასახლებული პუნქტები,

სოლუნი. თიბათვის 7. დამპალი ციებ-ცხელებით ავადმყოფობის გახშირების გამო ჩვენ იძულებულნი ვიყავით სტრუმის აღმოსავლეთ ნაპირით უკან დავეხიეთ. ჩვენი პატრულები მტრის ჯარის კაცებისგანა სწმენდენ გომოოს, ედარმარს, ელიზანს, ხაზნატრს. ჩვენმა მფრინავებმა ყუმბარები ჩაჰყარეს პორნას, და დუმბას რკინის გზის სადგურებში. ყუმბარები ჩაჰყარეს აგრეთვე სავიაკში და სენვრაში. ბრიტანელი რაზმები თესალიის დაპყრობაში მონაწილეობენ.

მფრინავთა თარეში

ოდესა. თიბათვის 6. სოფ. სარატის თავზე აკერმანის მაზრაში გადაიფრინა მტრის ჰაეროპლანმა სამხრეთის მიმართულებით, შემდეგ ადგისის მაზრის სოფ ბუგოლოზე და მიიმალა. ყუმბარები არ ჩამოუგდია.

გემების თარეში

სევასტოპოლი. თიბათვის 5. შავი ზღვის გემთა ოსმალთა სანაპიროებზე უკანასკნელი თავდასხმები ნაყოფიერი იყო, მოსპობილია 300 მეტი მოტორისა და იალქნიანი შხუნა, განადგურებულია სამხედრო საწყობები და ბატარიები.

კრეისერ „ასკოლდის“ მეზღვაურნი და ინგლისის მუშათა დელეგაცია

ლონდონი. თიბათვის 6. გლაზგოს სოციალისტურ პარტიის მდივანმა რუსეთის კრეისერის „ასკოლდის“ უფროსს სთხოვა, რათა იშუამდგომლოს მთავრობის წინაშე, რომ კრეისერი „ასკოლდი“ მუშათა დელეგაციას დაეთმოს. კრეისერის უფროსმა კეტლინსკიმ განაცხადა, რომ ის ვერ იშუამდგომლებს მთავრობასთან. კრეისერის ეკიპაჟს სურს ომის გამარჯვებამდე მიყვანა და მუშათა დელეგაცია კი ზავს მოითხოვს, ამიტომ ეკიპაჟს არ სურს მუშების რუსეთში მიყვანა თავისი გემით.

იტალიის მთავრობა, ალბანეთი და საბერძნეთი.

პეტროგრადი. თიბათვის 6. იტალიის მიერ ალბანეთის დამოუკიდებლობის გამოცხადების შესახებ იუწყებიან: იტალიის მთავრობის ახსნით, მათ მიერ გამოცემულ ალბანეთის დამოუკიდებლობის აქტს მხოლოდ და მხოლოდ სამხედრო მნიშვნელობა აქვს. ეს აქტი მხოლოდ პასუხია იმ პროკლამაციისა, რომელიც ავსტრიის მთავრობამ გამოსცა და გამოქვეყნებული იყო ამ წლის დამდეგს. ჩვენ მხედველობაში მივიღეთ იტალიის მთავრობის განცხადება, მაგრამ, მოკავშირეებთან ერთად, ჩვენ გვგონია, ალბანეთის მომავალი ბედი გადასწყდება ზავის შეკვრის დროს. საბერძნეთში მომხდარ ამბების შესახებ იუწყებიან: იმის შემდეგ, რაც აფრიკაში გიორგობისთვეს მოკავშირეებს თავს დაესხნენ, ჩვენ გადავსწყვიტეთ ენერგიული ზომები მიგვეღო მაკედონიის ლაშქრის მოსალოდნელ საფრთხის ასაცდენად. საუბედუროდ ჩვენი ზომები დაგვიანებული გამოდგნენ და მოულოდნელ თავდასხმის მუქარა არ აგვცდა. მოქმედება დღითი დღე რთულდებოდა. ამის გამო მოკავშირე სახელმწიფოებში პასუხისმგებელ პირთა შორის ხშირად საბერძნეთის საქმეების შესახებ სჯა-ბაასი იმართებოდა. სიშორისა და მიმოსვლის სიძნელის გამო ჩვენ თესალიის დროებით დაჭერისა და კონსტანტინეს გადაყენების შესახებ ბჭობაში აქტიური მონაწილეობის მიღება არ შეგვეძლო. თუ რა ფორმის მართველობა უნდა დამყარდეს საბერძნეთში, ჩვენის აზრით, ეს თვით საბერძნეთის ერმა უნდა გადასწყვიტოს. ამის შესახებ ჩვენ მოკავშირეებთანაც ვლაპარაკობთ. ფრანგ კომისარის განცხადებები კი საბერძნეთის შესახებ მხოლოდ ჟონნარისაგან დამატებითი ინსტრუქციების თავის დროზე მიუღებლობით აიხსნება.

რუსეთი და მოკავშირეები

ლონდონი. თიბათვის 6. სესილმა პარლამენტში განაცხადა, რომ დამოკიდებულება რუსეთის და მოკავშირეებს შუა დამაკმაყოფილებელიაო. მაგრამ სესილმა ის არ დაფარა, რომ მდგომარეობა მეტის მეტად რთულია და ამიტომ ინგლისის საელჩო პეტროგრადში შევსებას მოითხოვსო.

ჩაძირულ გემების ტონნაჟი

სტოკჰოლმი. თიბათვის 7. ვოლფის სააგენტო ბერლინიდან იუწყება: ოფიციალ ცნობებით, მაისის განმავლობაში ჩაძირული გემების ტონნაჟი 8,600 ტონს აღწევდა. დღიდან წყალქვეშათა ბრძოლის დაწყებისა ჩაძირულია 3.655,000 ტონი.

საბერძნეთის მდგომარეობა.

ლონდონი. თიბათვის 6. პარლამენტში სჯა-ბაასი იყო საბერძნეთის მდგომარეობის შესახებ. სესილმა ამის შესახებ განაცხადა, რომ თუ კი საბერძნეთი მოისურვებს, მას მოქმედების თავისუფლება მიეცემა და პლებისციტი მართვა-გამგეობის შესახებ განხორციელებულ იქმნებაო. მაგრამ მხედველობაში მისაღებია ისიც, რომ ომის ხანაში ამ პლებისციტის განხორციელება შეუძლებელია. რაც შეეხება 1863 წ. ხელშეკრულების გაუქმებას, ამის შესახებ წინასწარი მოლაპარაკება უნდა გავმართოთ დანიის მთავრობასთან, ვინაიდან ამ ხელშეკრულებაზედ ხელი დანიის მთავრობასაც უწერიაო.

* * *

რევოლუცია

დეპეშები

საგრარო საკითხი

სამარა. თიბათვის 5. გუბერნიის და სამაზრო კომიტეტში მრავალი ცნობებია საგრარო მოძრაობის შესახებ. ირკვევა, რომ მიწის შესახებ უთანხმოება ხდება არა მარტო გლეხებსა და მემამულეებს შუა, არამედ სოფლებს შორისაც და ამ საკითხის გამოსარკვევათ ამ ჟამად გლეხთა კომიტეტი მუშაობს.

სოც.-რევოლუციონერების განცხადება.

პეტროგრადი. თიბათვის 5. სოც.-რევოლ. დროებით მთავრობას განცხადება წარუდგინეს, სადაც ის აზრია გამოთქმული, რომ დამხობილ დინასტიის წევრებს არ უნდა ჰქონდეთ უფლება დამფუძნებელ კრების არჩევნებში მონაწილეობის მიღებისა და არც მათი არჩევა შეიძლებოდეს დამფუძნებელ კრებაში.

მილიცია პეტროგრადს ემუქრება

პეტროგრადი. თიბათვის 6. პეტროგრადის მილიციამ ქალაქის თვითმართველობას მოთხოვნილება წარუდგინა. თუ მოთხოვნილება მიღებული არ იქმნა, მილიცია იარაღის ძალით იმუქრება. ამის შესახებ დროებით მთავრობას მსჯელობა ჰქონდა და დაადგინა, არავითარი ლონისძიება არ დაიშუროს, ოღონდ ქალაქი იხსნას მილიციის ტერორისაგან. ეს გარდაწყვეტილება მთავრობისა სრულებით ეთანხმება მუშათა და ჯარისკაცთა შეხედულებას ამ კითხვაზე.

გაზეთების დახურვა.

ნიჟნი-ნოვგოროდი. თიბათვის 6. აღმასრულებელ კომიტეტს იუსტიციის მინისტრისაგან განკარგულება მოუვიდა, რათა დაუყოვნებლივ დახურულ იქმნეს გაზეთები: „გოლოს ნიჟეგოროდცა“ და „ნიჟეგოროდის მიტინგი“. ამას გარდა სისხლის სამართალში უნდა იქმნეს მიცემულნი ზემოხსენებულ გაზეთების რედაქტორნი, რომელთაც ბრალი ედებათ, რომ ერთი კუთხის მცხოვრებლებს მეორე კუთხის მცხოვრებლებზე აქეზებდნენ.

მინისტრის ამხანაგის დათხოვნა.

პეტროგრადი. თიბათვის 6. იუსტიციის მინისტრის ამხანაგი ზარუდინი სამსახურიდან დაითხოვეს.

მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოების ყრილობა

პეტროგრადი. თიბათვის 5. ყრილობის მესამე დღეს თავმჯდომარეობდა ჩხეიძე. წაიკითხეს კავკასიის მუშათა და გლეხების წარმომადგენელთა ყრილობისა და ბალტიის ფლოტის მისალმებანი. ამის შემდეგ მიწადმოქმედების მინისტრმა **ჩერნოვმა** დიდი სიტყვა სთქვა. „რუსეთის რევოლუციის ტრაგიზმი, სთქვა ორატორმა, იმ ძირითად წინააღმდეგობაშია, რომელიც რუსეთის საერთაშორისო მდგომარეობაში შეიქმნა. რუსეთი ომის რკალშია მომწყვდეული. შიგნით—რევოლუციის გამარჯვება პოლიტიკურად მტკიცეა, ხოლო ეკონომიურ-სოციალურად სუსტი. სტიქიური ძალები არღვევენ რუსეთს. ომიც, როგორც ქვეყნის მომუშავე ძალების დამშრობი, ხელს უწყობს საეკონომიო არევ-დარევას. ეკონომიურად ჩამორჩენილ რუსეთს წილად ხვდა რევოლუციის მოხდენა მაშინ, როდესაც მოწინავე ქვეყნების დემოკრატია, ამ მხრით, რუსებს ჩამორჩა. ლენინის გრძნეულება გვირჩევს რამდენიმე ათეულ მექარხნის დაპატიმრებას. ამ გარეგნობით სასაცილო წინადადებას მიზნად აქვს ქვეყანას აჩვენოს.. (ტელეგრამის მიერ გამოტოვებულია). რუსეთის რევოლუცია სხვა ქვეყნებშიაც დაანთებს რევოლუციის ცეცხლს.

სხვა ერთა დემოკრატიას კი მაინც ჰგონია, რომ ჩვენ ბევრი მიზეზი გვქონდა რევოლუციის მოსახდენად. თანამედროვე კაპიტალისტური წყობილება მჭიდროდ დაუკავშირდა კლასიურ-ნაციონალურ სახელმწიფოსთან. ყოველი მხრის ეროვნულ-პროლეტარიატის ბედი მჭიდროდაა გადაწნული ეროვნულ-კაპიტალიზმის ბედზედ. რამდენადაც კაპიტალისტურად განვითარებულია ქვეყანა, იმდენად დამოკიდებულია მისი პროლეტარიატი. რამდენადაც ქვეყანაში მრეწველობა განვითარებულია, იმდენად მძიმეა პროლეტარიატის მდგომარეობა.

რუსეთმა თავის უდიდეს რევოლუციით კოლოსალი მაგალითი მოგვცა. მაგრამ ეს მაგალითი სუსტი გამოდგა სხვა ქვეყნების შინაგან განკურნების პროცესის დასაჩქარებლად. ის მიმართულება, რომლისკენაც სტიქიურად მიისწრაფის (რუსეთის რევოლუცია?) შეიძლება გამოიხატოს, როგორც რევოლუციის ბედის სეპარატიული გარდაწყვეტა. ეს გარდაწყვეტა შეიძლება სხვა და სხვა ფორმებში ჩამოყალიბდეს, მაგრამ ყველა ის ფორმები რევოლუციის ძირითად მიზნებს მეტად ეწინააღმდეგებიან. თუ რუსეთში აგრარულ საკითხის გარდაწყვეტა სეპარატიული გზით წავიდა, მაშინ, გაისმება რა ფრონტზე ხმა: „მიწასა ჰყოფენ“-ო ველარაფერი შეაყენებს ჯარს პოზიციაზე. სეპარატიული მეთოდი არც ნაციონალური კითხვების გადაწყვეტის დროს მოგვცემს შესაფერ შედეგებს. სეპარატიული გზა დაშლა-დარღვევისკენ გაგვაქანებს. ლენინმა სთქვა, რომ დაძმობილება ძველებური ჩვეულებაა. დაძმობილება საშინელი არ არის როგორც ჩვეულება, მაგრამ იგი საზარელია როდესაც ეს ჩვეულებური ჩვეულება ომის საწინააღმდეგო პოლიტიკურ საშუალებად იქნება ნახმარი. ჩვენ, ჩვენი სოციალისტური დაძმობილებით ვხელმძღვანელობთ, როდესაც მოვუწოდებთ ინტერნაციონალურ ყრილობაზე ყველა მათ, ვინც აახმაურა ჩვენმა რევოლუციამ. თუ ბოლშევიკებს შეიდემანის შეხვედრისა ეშინიათ, ისინი უსწავლელ ჯარისკაცებს, არამც თუ შეიდემანის, არამედ ვილჰელმის მომხრეებთანაც ლაპარაკის ნებას არ უნდა აძლევდნენ. ჩვენი მოხიბვლა ჰსურთ იმით, რომ ჩვენს ერთ ფრონტზე ომი შეჩერებულია. მათ ავიწყდებათ, რომ ომის დასაბოლოვებლად საჭიროა ბრძოლის შეწყვეტა არა მარტო ერთ ფრონტზე, არამედ ყველა ფრონტებზე. ჩვენ ფრონტზე ბრძოლის შეჩერება დროებითია. ამით გერმანელს სეპარატიულ ზავის შეკვრის იმედი აქვს. ჩვენ მოვალენი ვართ ომის დამოკიდებულებისაგან რევოლუციონური პოლიტიკა გავანთავისუფლოთ. რუსეთის რევოლუცია, მოუწოდებს რა ყველას საერთაშორისო კონგრესზე იმ რევოლუციონურ მოქმედებათა ნორმების შესამუშავებლად, რომლებიც ჩაჰკლავენ ომის იმპერიალისტურ მიზანს, ერთგვარ ინტერნაციონალურ სარევოლუციო აზარმაცის როლს შეასრულებს. რუსეთმა უნდა მოითხოვოს ყველა ხელშეკრულებათა გადასინჯვა, მაგრამ ჩვენ არ შეგვიძლია დიპლომატიური წესების შეცვლა. არაფერი გამოვა, აგრეთვე, ჩვენ რომ ულტიმატუმი წარუდგინოთ მოკავშირეებს; დიდ სახელმწიფოებს ულტიმატუმებით არ ელაპარაკებიან. მაშინ იქაური დემოკრატია თავიანთ მთავრობას გაჰყვება. ბოლოს ჩერნოვი ბოლშევიკების ტაქტიკას ადარებს დამქცევ თამაშს, მაშინ, როდესაც სათამაშოდ გამოტანილია თვით რუსეთი და მისი ბედი.

ჩერნოვი მოუწოდებს: რუსეთი გარდაქმნათ არა ძალადობით, არამედ უფლებრივად და ორგანიზაციით.

მენშევიკ-ინტერნაციონალისტმა **მარტოვმა** (ცედერბაუმი) მთავრობას უსაყვედურა. თქვენ საბერძნეთის კონსტიტუციის დარღვევას ხელი შეუწყეთ და ამასთანავე მოწინააღმდეგეთათვის 3 წლით ციხეში ჩასმა გადაგიწყვეტიათო. დასასრულ მარტოვი ეჭვს გამოსთქვამდა ხელშეკრულებების გადასინჯვაზე მოკავშირეთა კონფერენციის მოწვევაზე. მარტოვმა უსაყვედურა აგრეთვე, მინისტრ-სოციალისტებს ბურჟუაზიულ კაბინეტში შესვლა.

მარტოვს უპასუხა ფოსტა-ტელეგრაფის მინისტრმა **წერეთელმა**: მარტოვის მიერ მოყვანილი ფაქტებიო, სთქვა წერეთელმა, სისწორეს მოკლებულიაო. რუსეთი დიდს პროტესტს აცხადებდა საბერძნეთში კონსტიტუციის დარღვევის წინააღმდეგ. აგრეთვე ყალბია ცნობა იმ კანონპროექტის შესახებ, რომელსაც, ვითომც იუსტიციის მინისტრი სწერსო. გაზეთით გავრცელებულ ხმების მიხედვით არ შეიძლება ასეთი ბრალდება მთავრობისა. ჩვენ პასუხს ვაგებთ, მხოლოდ იმაში, რასაც ვაკეთებთ. საფრანგეთის რევოლუციიდან ჩვენ სახელმძღვანელოდ ვყენებთ მხოლოდ მას, რაც ჩვენთვის საჭიროა. ჩვენ არ გვსურს იარაღის ძალით იდეების განხორციელება. რუსეთის რევოლუცია მემკვიდრეა საფრანგეთის რევოლუციისა მხოლოდ მიზანშეწონილ გადადგმულ ნაბიჯებისა. მარტოვმა მოითხოვა რა კონფერენციის მოწვევა, დასძინა: მოკავშირეებთ კითხვა გადაჭრით უნდა დავუსვათო.. მაგრამ, ჩვენ თუ კითხვა გადაჭრით დავსვით, უეჭველია უარყოფითი პასუხს მივიღებთ და იძულებულნი ვიქმნებით პირისპირ შევხვდეთ სეპარატიულ ზავს. ჩვენ ამისი გვეშინიან. ამ შემთხვევაში მე ვეთანხმები ჰენრიხ ჰეინეს, რომელმაც სთქვა: არაფრისა მხოლოდ სულელს არ ეშინიანო.

ამით დასრულდა დღის სხდომა.

ეროვნული საკითხი

ჩეხელთა მდგომარეობა ავსტრიაში.

სტოკჰოლმი. თიბათვის 5. რეიხსრატის სხდომაზე ჩეხელმა სტიბნამ ეროვნულ-სოციალისტურ პარტიის სახელით პროტესტი განუცხადა ავსტრიის მთავრობას ჩეხელთა დევნის გამო. მისი აზრით მრავალი ჩეხელი მამულიშვილი ლპება ციხეებში, მათ შორის კი ყველაზე უფრო ტრაღიკულია კლოფაჩის ბედი, მიუხედავათ იმისა, რომ სასამართლომ კლოფაჩი ორჯელ სცნო უდანაშაულოდ, რადაც მანქანებით კლოფაჩი დღესაც ციხეში იმყოფება. აგრეთვე სასტიკი დევნა განიცადეს პოლიტიკურ საქმეში დამნაშავე ქალებმა და მოხუცებულებმა. მრავალი მათგანი უდროოდ მოჰკლეს. ერთ ალაგას პოლიტიკურ დამნაშავეებს ბანაკი გაუმართეს და მზრუნველობა კი ვინ იცის ვის მიანდვეს. შედეგათ ის მოჰყვა, რომ ეპიდემიამ 2000-დე ადამიანი იმსხვერპლა. ბოლოს სტიბნი პროტესტს უცხადებს ავსტრიის მთავრობას, რომელიც ყოველი საშვალებით ლამობს ჩეხეთში გერმანული ენა გაბატონოს.

უკრაინის აღმასრულებელ კომიტეტის პროტესტი

ოდესა. თიბათვის 6. უკრაინის აღმასრულებელი კომიტეტი პროტესტს უცხადებს ცენტრის და რუსეთის ადგილობრივ მთავრობას. კომიტეტი რუსეთის მთავრობას ბრალს სდებს, რომ ის აფერხებს უკრაინის ხალხის წინსვლელობას. ამის შედეგია, რომ უკრაინის ხალხი ნდობით ვერ შეჰყურებს რუსეთის მთავრობას. ამის შედეგია, რომ უკრაინის ჯარს არ სურს მშობელი ქვეყანა რუსის ჯარის ამარა დასტოვოს, ამ მოსაზრებით უკრაინელი ჯარის კაცები და ოფიცრები არ ჰფიქრობენ ფრონტზედ წასვლას. უკრაინის აღმასრულებელი კომიტეტი და ეროვნული რადა მოითხოვს, რომ დროებით მთავრობის მიერ ეხლავე განხორციელებულ იქმნას უკრაინის ავტონომია.

რუსეთი და უცხოეთი

რუსეთს ინგლისი დაეხმარება.

ლონდონი. თიბათვის 5. თემთა პალატაში დჟინელი მთავრობას შეეკითხა, იქონია თუ არა გავლენა რუსეთში მომხდარი ცვლილებამ რუსეთ ინგლისის ურთიერთობაზე და ჰფიქრობს თუ არა ინგლისი დაეხმაროს რუსეთს ფინანსიურადაო. ამ შეკითხვაზე ბონარლოუმ უპასუხა, რომ მისი უდიდებულესობის მთავრობა ძველებურად ეხმარება რუსეთსაო.

გუბერნიის კომისარის არჩევა.

სიმბირსკი. თიბათვის 6. გუბერნიის კომისარად არჩეულ იქმნა გოლოვინსკი.

ქალაქის თავის შეურაცხყოფა.

ბლაგოვეშჩენსკი. თიბათვის 5. ქალაქის გამგეობაში შემოიჭრა ბრბო მეეტლეებისა და დამტვირთველებისა და ქალაქის თავს ხელით შეურაცხყოფა მიაყენეს. ქალაქის ყველა ორგანიზაციებმა ეს საქციელი სასტიკათ დაჰგმეს და ქალაქის თავს თანაგრძნობა გამოუცხადეს.

კომისარის მუქარა გაფიცულ მეეტლეებს.

დონის როსტოვი. თიბათვის 6 მეეტლეები კვლავ გაფიცულნი არიან. გუბერნიის კომისარი მათ წინადადებას აძლევს მუშაობა დაიწყონ, წინააღმდეგ შემთხვევაში ემუქრება, რომ ცხენებს ომის საჭიროებისთვის რეკვიზიციას ვუზამო.

ქალთა მანიფესტაცია.

მინსკი. თიბათვის 6. მოხდა ქალთა მანიფესტაცია პურზე მონოპოლიის შემოღების წინააღმდეგ. მიჰქონდათ პლაკატები, რომლებსაც ეწერა:— „ძირს პურის მონოპოლია“ „მოგვეცით ფქვილიო“. ამას გარდა ქალაქის თვითმართველობაში შეცვივდნენ მეპურეები და ფქვილს თხოულობდნენ. ქალაქის გამგეობას განზრახვა აქვს მოვალეობის შესრულებას თავი დაანებოს.

ჩინეთის მდგომარეობა.

პეკინი. თიბათვის 6. ახალი პრემიერი ლიცინ ცზი თანამდებობას ხელს არ ჰკიდებს. თუ ხმებს დავუჯერებთ დამოუკიდებლობა გამოაცხადეს შემდეგმა პროვინციებმა: ხუშემ ხენ.ნიმ, შანდუნიმ, შანსიმ და მუკდენიმ. მდგომარეობა მეტის-მეტად გართულდა, და ანალოგიურად ძლიერ გვაგონებს შარშანდელ მდგომარეობას იუანშიკაის დიქტატურობის დროს.

არეულობა ტომსკში.

პეტროგრადი. თიბათვის 6. მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭომ ტომსკიდან აღმასრულებელ კომიტეტის თავმჯდომარე ნაუმოვისაგან შემდეგი არა სასიამოვნო დეპეშა მიიღო: ანარქისტულ დროშის ქვეშ შეკრებილი ბოროტ-გამზრახველები სისტემატიურ სცარცვენ ბანკებს, მაღაზიებს, სხვა და სხვა დაწესებულებას. სიცოცხლეს უსპობდნენ ორგანიზციების ხელმძღვანელებს. ბოროტ-გამზრახველები თურმე ამასაც არ სჯერდებოდნენ და სიძვირით შეწუხებულ ხალხსაც ცარცვა-გლეჯისკენ მოუწოდებდნენ. ბოროტმოქმედების მოსასპობად თიბათვის 3-ს სამხედრო დებულება გამოაცხადეს. შეიპყრეს 1500-ზე მეტი ამნისტიით განთავისუფლებული სისხლის სამართლის დამნაშავენი. დამნაშავეთა თავშესაფარიდან გამოქცეული 800 კაცი. მეტი წილი ბოროტ-გამზრახველებისა მე-38-ე პოლკის მე-14-ე როტის ჯარისკაცები აღმოჩნდნენ. მათ შეპყრობის დროს სროლა მოხდა. წინააღმდეგობას გვიწევდნენ აგრეთვე შეპყრობის დროს მე-25-ე პოლკის მე-6-ე როტის ჯარისკაცები. მოკლულია 20 კაცი; დაჭრილია რამდენიმე. ეხლა ქალაქში სრული სიწყნარეა.

ახალი ხიდი.

დონის-როსტოვი. თიბათვის 6. როსტოვსა და ბატაისკის შუა, აპრილის ნიაღვრით მოგლეჯილი ხიდი, კვლავ გააკეთეს. თიბათვის 10 განზრახულია პირდაპირი მიმოსვლა როსტოვის და კავკასიის შორის.

კაბინეთის ახლად მოწყობა

სტოკჰოლმი. თიბათვის 7. „კორესპონდენც-ბიურო“ ვენიდან გვატყობინებს: საღამოს გაზეთების ცნობით, იმპერატორმა კლამ მარტინიცს კაბინეტის ახლად მოწყობა დაავალა. კლამ-მარტინიცს სხვა და სხვა პარტიებთან მოლაპარაკება გაუმართავს.

ქალთა საარჩევნო უფლების საზოგადო პრინციპად მიღება.

ლონდონი. თიბათვის 6. თემთა პალატამ ხმის უმეტესობით (385 წინააღმდეგ 55) საზოგადო პრინციპად მიიღო ქალთა საარჩევნო უფლება.

უკანასკნელი დეპეშები

კერენსკიმ უკრაინელთა სალაშქრო ყრილობა აღკრძალა, მაგრამ იგი კიევში მაინც შეიკრიბა. ყრილობა ქალაქის საოპერო თეატრში სწარმოებს. ყრილობის დაწყებამდის მრავალი მიტინგი გაიმართა. ამ მიტინგებზე ყრილობის გამართვის აღკრძალვას ლაპარაკობდნენ. კერენსკისა ჰკიცხავენ. უკრაინულმა პოლკმა ქალაქის საბჭოზე უკრაინული დროშა აღმართა. ერთმა ორატორმა სთქვა— აქამდის უკრაინელებს მეფე გვახრჩობდა, ეხლა მოსკოველთა მთავრობა და კერენსკი გვახრჩობსო. ყრილობაზე ათას რვაას ორმოცდა ათი დელეგატია. მილიონ სამი ათას ოთხასი კაცის წარმომადგენელია. ღამის სამ საათზე ხმა გავარდა, რომ ყრილობამ სახელმწიფო ბანკის და ხაზინის ხელში ჩაგდება გადაწყვიტაო. ამ ადგილებში ჯარი გააძლიერეს. პროფესორ გრუშევსკიმ განაცხადა: ყრილობაზე არ ვყოფ, მაგრამ არა მგონია, რომ ყრილობას ამისთანა რამ დაედგინოს. თუმცა იმასაც ვიტყვი, რომ ასეთი რამ, რომ მოხდეს საკვირველი არ იქნებაო.

—

ცარიცინში პანიკაა. საქონელი მოდის, მაგრამ გემების დაცლა შეუძლებელია რადგანაც მუშები ორჯელ მეტს თხოულობენ, ვიდრე საქონელი ღირს. 11 მილიონ ფუთის მაგივრად ცარიცინში მილიონ ნახევარი ფუთი საქონელი მოვიდა. ვაჭრებს საქონელი ასტრახანში მიაქვთ.

ქრონიკა

კავკასია

◆ **მევენახე მეღვინეთა ახალი საბჭო.** ამიერ კავკასიის მევენახე მეღვინეთა ახალ საბჭოს პირველი კრება ჰქონდა გუშინ, თიბათვის 8-ს, სამოქმედო პროგრამის პროექტის შესამუშავებლად.

საქართველო

◆ ქართულ სატეხნიკო საზოგადოების სექცია ქ. ტეხნიკურ ტერმინოლოგიისა და ლიტერატურისა სთხოვს თავის წევრებს და ყველას, ვისაც კი სურვილი აქვს, მობრძანდეს სექციის კრებაზედ დღეს საღ. 8 ს. ელისაბედის ქ. № 98 ყიფშიძესთან. წარსულ კვირის კრებაზედ, რომელსაც, სხვა თა შორის, დაესწრო აგრეთვე პროფ. ი. ჯავახიშვილი, გამოირკვა რამდენიმე მიმართულება სექციის მუშაობისა. პროგრამა მეტად ფართოა, სამუშაო მეტად მრავალ-ფეროვანი სხვა და სხვა სპეციალ დარგში, ამიტომ საჭიროა მონაწილეობა მიიღოს ჩვენმა მოწინავე საზოგადოებამ, არა მარტო ტეხნიკოსებმა, არამედ ენის მკვლევართა და ფილოლოგებმაც. სტუდენტ ტეხნიკოსთ შეუძლიათ დიდი ღვაწლი დასდონ ამ ფრიად საჭირო, ახლა საქმეს—საკუთარი ტერმინოლოგიის, ნომენკლატურის და ტეხნიკური ლიტერატურის შექმნაში დღეისთვის მოწვეულნი არიან აგრეთვე ისინიც, ვისაც აქამდე უმუშავნია ქართულ სხვა და სხვა ლექსიკონების შედგენაში.

თბილისი.

◆ **ამინდი.** მიმდინარე თიბათვეშიაც, ისე როგორც მაისში იყო, თბილისში გრილი ამინდებია. თითქმის ყოველ საღამოს წვიმა მოდის და ასეთმა დარებმა კიდევაც მოაბეზრა თავი ხალხს. საგარაკოდ ჯერ ბევრი არავინ წასულა.

◆ **ქალაქის არჩევნების გამო.** თიბათვის 7-ს კრება ჰქონდა საამომრჩევლო კომიტეტს. ა. ხატისოვმა განაცხადა, რომ ამომრჩეველთა რაოდენობა, როგორც გამოირკვა, 130,000 კაცამდე იქნება და შეუძლებელია ამომრჩეველთა სიის დაბეჭდვა, რადგან სტამბები, მოუცლელობის გამო, უარს ამბობენო, მაგრამ კომიტეტი ყოველ ღონეს იღონებს—იქნებ როგორმე მოახერხოს და სიები დაბეჭდვინოსო.

◆ **სურსათი.** თბილისის სასურსათო კომიტეტის სახელობაზე მოვიდა თიბათვის 7-ს 2 ვაგ. ფქვილი, ხოლო გუშინ—28 ვაგ. ფქვილი და 4 ვ. ხორბალი.

◆ **დიდი სეირნობა.** წერა ქ. გ. ს. სასარგებლოდ დიდი სახალხო სეირნობა და ლატარია-ალეგრი გაიმართება კვირას, თიბათვის 11-ს, „ახალი კლუბის“ ბაღში.

◆ **მ. პ. კოლოტილინის გარდაცვალების გამო.** ამ დღეებში თბილისში გარდაიცვალა სასახლის ეკლესიის მგალობელთა გუნდის რეგენტად ნამყოფი მ. პ. კოლოტილინი, კარგად მცოდნე გალობა-სიმღერებისა. სხვათა შორის მისი გადაღებულია ნოტებზე ცნობილი სიმღერა „ალავერდი“. ის თბილისის ბევრს სასწავლებელში იყო გალობის მასწავლებლად და დიდად უყვარდათ მოსწავლეებს. განსვენებულის ასული მ. მ. კოლოტილინისა მუდამ დღე უბეჭდავდა ბიულეტენებს გაზეთების წარმომადგენელთა ბიუროს სასახლეში. ბიურომ ფეხზე ადგომით პატივი სცა განსვენებულის ხსოვნას და დაადგინა თავისი დელეგატის პირით სამძიმარი გამოუცხადოს მარია კოლოტილინას.

ქუთაისი

◆ **საადრესო სტოლის გაუქმება.** აღმასრულებელი კომიტეტის განკარგულებით ქუთაისის საადრესო სტოლი გაუქმდა.

ბათუმი.

◆ **წერა-კით. საზ. განყ. კრება.** კვირას, თიბათვის 11-ს ბათომის ქალაქის თვითმართველობის დარბაზში დანიშნულია ქ. შ. წ.-კ. გ. ს. ბათომის განყოფილების წევრთა წლიური საერთო კრება. განხილულ იქნება გასულ წლის ანგარიში, მიმდინარე წლის ხარჯთ-აღრიცხვა და სხვა კითხვები.

პროვინცია.

◆ **ახალი კოოპერატივი.** სოფელ იყალთოში (კახეთი) არსდება იყალთო-რუისპირის რაიონის მომხმარებელი საზოგადოება, თითქმის ყველაფერი მზადაა და საზოგადოება ამ დღეებში შეუდგება მუშაობას.

◆ **ამიერ კავკასიის კომისარიატმა** მისწერა ოზურგეთის აღმასრულებელ კომიტეტს—გამოუგზავნოს მას მთელი საგამომძიებლო მასალა დეკ. დ. დუმბაძის და გრ. ჯაყელის შესახებ.

ავლაბრის ქართველთა გასაჭირი

ამას წინად, გაზეთ „საქართველოში“ დაიბეჭდა წერილი ერთი მამისა, რომელიც სჩიოდა, ავლაბრის გიმნაზიას სომხებს აკუთვნებენ და ჩვენ ქართველები უგიმნაზიოდ ვრჩებითო. ქართველებს ქალაქის ცენტრებში არსებულ გიმნაზიებს აძლევენო. ეს მოვლენა მით არის დასაღონი, რომ ავლაბრელებისათვის ცენტრი შორია. საქმეს ის უფრო ართულებს, რომ მარტო ავლაბარი არ რჩება უგიმნაზიოთ. ავლაბრის გიმნაზიაში სწავლობდენ აგრეთვე კრწანისის, ხარფუხის, ნავთლუღის და ახალ-შენების ქართველთა შვილები. ესენი უფრო შორს არიან ცენტრებზე, ვიდრე ავლაბრელები. მათი სიღარიბე ხელს შეუშლის ტრამვაით სარგებლობას, მეტადრე ამ სიძვირეში. ქალაქის განაპირას ხომ ღარიბები სცხოვრობენ. ეხლა თითო გზა ტრამვაით სიარული ორი-სამი შაური ჯდება, თვეში ეს 3—4 მ. 50 კ. დაიჯერს. ღარიბი კაცისთვის კი ამ ხარჯს დიდი მნიშვნელობა აქვს. ეს ხარჯიც რომ იქით იყოს, ანგარიშში მისაღებია ის გარემოებაც, რომ თბილისის ტრამვაი ცუდად ჰმუშაობს. ხშირად სრული საათი უნდება კაცს ცდა ვიდრე ტრამვაის ვაგონი მოვა ან-და ადგილს იშოვნის შიგ. ეს კი ძალიან უხერხულია მოსწავლე ბავშვისათვის. ჯერ ისედაც ადრე უნდა ადგეს, რომ ამ სიშორეზე სასწავლებელში დროზე მივიდეს, და თუ მხედველობაში ტრამვაის უწესოდ სიარულს მივიღებთ, ნათელი იქნება ის გასაჭირი, რაც მომავალში შეგირდს მოელის, მეტადრე ცივ ზამთარში. ეს სიშორე და სიღარიბე ისეთი საშიში რამეა, რომ მათი მეოხებით შეიძლება ბავშვებმა სრულიადაც აღარ იარონ სასწავლებლებში და არც მშობლებმა გაჰგზავნონ.

ხომ ვიცით, რომ ქართველ ხალხში დიდია სწავლის წყურვილი, ვიცით რომ საქართველო მთლად მოიფინა გიმნაზიების ქსელით და ამ წყურვილს ანგარიში უნდა გაუწიოს ადამიანმა. არ შეიძლება რომ ასეთი დიდი რაიონი, როგორც ავლაბრის რაიონია, თავის სოფლებით, უსასწავლებლოდ დარჩეს. საჭიროა ორში ერთი—ან მეორე გიმნაზიაც გაიხსნას, ერთი ქართველებისა იყოს და მეორე სომხებისა, ან არა და უკვე არსებულ გიმნაზიაში პარალელი კლასები დაარსდეს. მხოლოდ ამ ორ გზაში ერთ-ერთია საქმის მშველელი. ახალი გიმნაზია და პარალელი კლასები ხარჯს მოითხოვსო, ამის ლაპარაკი შეუძლებელია, რადგანაც ის უფრო შეუძლებელია რომ დიდი რაიონი უსასწავლებლოდ დარჩეს.

ი. ტარიშვილი

საფრანგეთის დიდი რევოლიუცია

(დასასრული IV თავისა)

პარტიები ჩვეულებრივ კამათის შემდგომ იკრიბებოდნენ კლუბებში. კლუბები, ანუ პოლიტიკური საზოგადოებანი, მათ დაარსეს ინგლისელთა მიხედულობით. 1791 წლისთვის უკვე სამმა კლუბმა გაითქვა სახელი: იაკობინელებისამ, ფეილანთა და კორდელიერებისამ. ყველაზე პირველად იაკობინელთა კლუბი დაარსდა, თითქმის კონსტიტუციის შემოღების დღიდანვე. როდესაც პარიზის ხალხმა მოითხოვა მეფე ვერსალიდან პარიზში გადმოვიდესო, ყველა პატრიოტები დაბინავდნენ ვერსალშივე წმ. იაკობის მონასტერში. აი ამ მონასტერში იმართებოდა წინასწარი კრება იმ კითხვების გარდასაწყვეტად, რაც უნდა წარედგინათ ხოლმე ეროვნულ კრებისათვის. ამ მონასტრის სახელით მონათლნენ პატრიოტები იაკობინელებათ. ყველაზე ძლიერი ორატორები ამ კლუბმა წარმოშობა. მათ შეჰქმნეს ერთგვარი ცენტრალისტური სახელმწიფო დეცენტრალისტურს სახელმწიფოში. ამ პარტიის ხელმძღვანელნი მალე გაიყვნენ მეფის უფლებათა შეზღუდვის საკითხის გამო. უკმაყოფილო წევრებმა ფეილანის მონასტერში დაიარსეს განსაკუთრებული კლუბი, რასაც შემდეგში ფეილანის კლუბი ეწოდა სახელად. მესამე კლუბი დააარსეს კორდელიერებმა, ამ კლუბის წარმომადგენელნი წმინდა წყლის დემოკრატები იყვნენ. დანტონის მეთაურობით მათ შეჰქმნეს საკუთარი საზოგადოება, რომელსაც მიზნად ჰქონდა ადამიანთა უფლების დაცვა. აი, ეს კლუბები წარმოადგენდნენ სახელმწიფოს ძალას. დარბაზიდან ყოველდღიური მორიგი საკითხები ხალხში გადაჰქონდათ დეპუტატებს და მთელს საფრანგეთში იარსებდნენ განყოფილებებს აზრთა მოსაკრებად 1790 წ. მარტო იაკობინელთა კლუბს 152 განყოფილება ჰქონდა, რაიც შემდეგ წელს 2 ათასს აღემატა კიდეც. ცენტრი პროვინციელებმა პარიზში გადაიტანეს, რის წინაშე ვერსალმაც თავი მოიხარა.

პოლიტიკურ კლუბების გარდა არსებობდა აგრეთვე ფედერაციები, სადაც თავს იყრიდნენ უმთავრესად მეზობელ ოლქებიდან გამოსული მამულიშვილნი, რომელნიც ფიცს სდებდნენ ეროვნულ კრების დადგენილებათა ერთგულნი ყოფილიყვნენ. როგორც კლუბებისა ისე ფედერაციების საუკეთესო დამცველი და უსასტიკესი მტერი პრესა იყო.

ოქტომბრის პირველში 1791 წ. გაიხსნა პირველი საკანონმდებლო კრება. ამ კრებას დაესწრნენ მეტწილად ახალი დეპუტატები. 745 დეპუტატიდან სულ 25—30 წლოსანი იყვნენ, უმთავრესად ექიმები, ჟურნალისტები, ვექილები და სასულიერო პირნი. დამფუძნებელ კრებაზე ძველი მემარჯვენენი თითქმის სულ გაჰქრნენ. მათი ადგილი დაიჭირეს ცენტრიდან ლაფაიეტისა და ბარნავის მეგობრებმა. ცენტრის შესუსტების გამო გაძლიერდენ მემარცხენენი, რომელნიც სცდილობდენ მონარქიის ნანგრევებზე თავისუფლების განმტკიცებას. კონსტიტუცია 1791 წ. მათ კუდმოკვეცილად მიაჩნდათ, ვერ აკმაყოფილებდათ, ამიტომ იყო რომ მთელი მათი ძალ-ღონე მიმართული იყო მის ჩასაშლელად. მართალია, ამ პარტიის ყველა დეპუტატები იაკობინელები იყვნენ, მაგრამ 1792 წ. დასაწყისში მათ მოუხდათ ორად გაყოფა, ბრისოტებად ან ჟირონდისტებად და იაკობინელებად. განხეთქილება რობესპიერის უსაზღვრო თავმოყვარეობის გამო მოხდა. მან ვერ მოითმინა, რომ არასში ყოფნის დროს პარტიის ხელმძღვანელად გახდა არა ნაკლებ პატივმოყვარე, მაგრამ მკვირცხლი, ფრიად ენა წყლიანი და უნიჭიერესი ჟურნალისტი ბრისო რაკი და განხეთქილება მოჰხდა, მას იდეური მხარეც დაერთო: იმ დროს, როდესაც ბრისოს მიმდევარნი—ჟირონდისტები ზომიერ პოლიტიკას აწარმოებდნენ, რობესპიერი უკიდურეს გზას დაადგა, მისი რევოლიუციონერობა სამართლიანად მოინათლა ისტორიაში „ცოფიანთა“ მიმართულებად. თუ რა „სიცოფე“ იყო, ამას შემდეგში დავინახავთ, როდესაც რობესპიერის დატრიალებულს მახვილს დავინახავთ, რომელიც მთელს საფრანგეთს შიშის ზარის ქვეშ აათრთოლებს.

საკანონმდებლო კრების მოქმედება უმთავრესად ერთმანეთში ყაყანით და ბრძოლაში გამოიხატა. ყველა გრძნობდა, ყველას თავის თავი მართალი ეგონა. მართალი იყო დედოფალი ეკატერინე მეორე, რომელმაც ზედ მიწევნით დაახასიათა საფრანგეთის ამ დროინდელი მდგომარეობა: „საფრანგეთს 1200 კანონმდებელი ჰყავს, რომელთაც მეფის მეტი არავინ ემორჩილებაო“. კამათობდნენ იმაზე, ჰქონდა თუ არა მეფეს veto-ს უფლება. თვეები გავიდა, მაგრამ საკითხი საკითხად დარჩა. შემდეგ კრების საკითხი მეფის ორ აზროვანი პოლიტიკა იყო. იგი ამ დროს არც საფრანგეთს ეკუთვნოდა, არც იმათ, ვინც გაქცეულიყვნენ საზღვარგარედ—იმ დროს, როდესაც შინ ამშვიდებდა ყველას და მამობას ეფიცებოდა, გარედ წერილს წერილზე ჰგზავნიდა, რომ ჯარები მოეშველებინათ. მდგომარეობა გართულდა საბედისწერო ომის გამოცხადების შემდეგ ჟირონდისტების დაჟინებით ავსტრია-პრუსიის კავშირს ომი გამოუცხადეს 1792 წ. საზოგადო შიში, ჰფიქრობდნენ, ყველას გააერთიანებდა. ლუი მეთექვსმეტემ დრო იხელთა. მან საიდუმლო გასცა და გეგმა გააგებინა მტერს. დაუმატეთ ისიც, რომ საფრანგეთი სრულიად მოუმზადებელი იყო ომისთვის და ნათლად დაინახავთ მის დამარცხების სიწვავეს. ამან გამოიწვია კრების გაცხარება. მეფეს ეჭვის თვალით დაუწყეს ყურება. პროვინციაში იფეთქა ათასგვარმა უწესოებამ. პარტიების შუღლი-შურით ხომ ყოველისფერსა ჰრევდა. მეფის მდგომარეობა გამწვავდა. მის მხარეს ჟირონდისტები იჭერდნენ, მაგრამ აი, რობესპიერმა იხელთა, დაამარცხა ბრისო და მისი მომხრეები. მეფეს უკანასკნელი ყავარჯენი გამოეცალა ხელიდან. რობესპიერი მოითხოვდა, რომ მეფის ადგილი დაეჭირა ეროვნულს კონვენტს. ქუჩის დემაგოგები ძალაში შედიოდნენ. 10 აგვისტოს გაცოფებული ბრბო შეიჭრა ციულერის სასახლეში. საჭირო იყო, მეფე საბედისწერო ომში გასულიყო, რომ სიკვდილი ეპოვნა როგორც მეფე-ჯარისკაცს, მაგრამ შეშინებული ჟირონდისტების შთაგონებით ოჯახითურთ გაემართა საკანონმდებლო კრებისაკენ, რომ იქ ეპოვნა საფარველი. აქ თავის ყურით გაიგონა მეფემ, თუ როგორ სამუდამოდ გამოეთხოვა იგი გვირგვინს: ვერნიოს წინადადებით მეფე გადაყენებულ იქმნა და მის ადგილას ნაციონალური კონვენტი დაარსდა. მეფის ოჯახი კი გაისტუმრეს ტამპლში და აქ დაამწყვდიეს. დაიკარგა ყოველგვარი კეთილგონიერება. არავინ იყო დაზღვეული. რობესპიერის დადგენილებით შემოიღეს რევოლუციონური ტრიბუნა, სადაც ყველას სიკვდილით სჯიდნენ, ვისაც კი შეამჩნევდნენ, რომ მონარქიის მომხრე იყო. თვით საკანონმდებლო კრება ემორჩილებოდა პარიზის კომუნას, რომლის სახელითაც მოქმედებდა გახელებული ჟორჟ დანტონი, რომელიც დღითი დღე უფრო მკვეთრი სახით მაღლდებოდა რევოლუციის ჰორიზონტზე. ტერორით და რევოლუციის ცეცხლით დანტონი სცდილობდა სისხლის ზღვა გარდაეშალა, რითა ხალხს ყოველი გზა და ბილიკიც კი მოსჭროდა უკან, მონარქიისაკენ დასაბრუნებლად.

ამ არევის დროს ჯერ კიდევ არავინ სჩანდა ავტორიტეტ მოსილ პიროვნებად, რომ მღელვარე ოკეანეში გადაგდებული საფრანგეთის ხომალდი დაღუპვისაგან ეხსნა. ერთად ერთი მესაჭე მირაბო იყო, მაგრამ ჯერ კიდევ 1791 წელს გამოეთხოვა ამ სოფელს თავის უზომო ენერგიის ხარჯვით. სამაგიეროდ საფრანგეთს ახალი მირაბო მოევლინა, ფოლადის ახალგაზრდა კაპიტანი, რომელიც ამ დროს მოუსვენრად დაფუცურობდა. „ნება მომეცით და ორი სამი ზარბაზნით სულ ერთიან გავანიავებ ამ უსახურ მოსულს ბრბოსა!“ წამოიძახა მან. შეჭმუხვნილი სახე ბოროტ გენიოსობის სიმტკიცით რისხვის ნაპერწკლებს აკვესებდა. ეს ტუჩებ მთრთოლვარე კაპიტანი კორსიკადან მოვლენილი ნაპოლეონ ბონაპარტე გახლდათ...

დ. კახრაძე.

(შემდეგი იქნება)

ჭიათურელ დელეგატის განმარტება

(წერილი რედაქციის მიმართ)

გაზეთ საქართველოს 121 №-ში მოყვანილი ჩემი სიტყვის შინაარსის გამო საქართველოს ავტონომიის შესახებ, მე, როგორც ჭიათურის დელეგატი, ვალად ვრაცხ ჩემ თავს საჯაროთ განვაცხადო შემდეგი:

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ჭიათურის განყოფილებაში არ არის არც ერთი წევრი, რომელიც სეპარატიზმს, ესე იგი რუსეთიდან სრულ ჩამოშორებას აღიარებდეს. მაშასადამე, მე, როგორც დელეგატს, არც უფლება და არც სურვილი არ მქონია მეთქვა, საქართველო, ავტონომიის მიღების შემდეგ, „რუსეთს სრულიად უნდა ჩამოშორდესო“. რამდენადაც თვითონ მახსოვს ეს არც მითქვამს. და თუ გაზეთში ასეა აღნიშნული, ეს აიხსნება მით, რომ ან მდივანმა ვერ შეიტანა სწორეთ ოქმში ან მე აღელვების გამო სიტყვის ბოლოში გამომრჩა „არ“, ე. ი. არ უნდა ჩამოშორდესო“.

ჭიათურელი დელეგატი
კონსტანტინე ლომთაძე.

კორესპონდენცია

გურიის ვითარება

ოზურგეთი. ხალხის ჭირისუფალთა მოწოდებამ გასჭრა და წელს გურიაში სიმინდი მოლოდინზე მეტი დაითესა, მოსალოდნელი იყო უხვი მოსავალი, მაგრამ მგონი იმედი გაცრუვდეს—მთელ მაისს ცივი და ავდრიანი დღეები იყო, სიმინდი გაუმარგლავი დარჩა. საზოგადოთ გურიაში სიმინდმა გოლვიან წელიწადს იცის ბარაქიანი მოსავალი, წელს კი ნოტიო ანუ როგორც გურულები იტყვიან „ჭყოროია“. სიმინდს შემდეგ გურულების იმედი აბრეშუმის პარკი იყო, წელს კი არც იმის მესამედის იმედია რაც ჩვეულებრივ იცის ხოლმე. ამის მიზეზი უვარგისი თესლია და არ იქნა და არა თესლის საქმის მოწესრიგება და საიმედოს მიწოდება ვერ შესძლეს ვერც კოოპერატივებმა და ვერც წვრილი კრედიტის ამხანაგებმა. ზოგიერთა სოფლებში ვაშლიც კარგ ხეირს იძლეოდა, წელს არც მისი იმედია—სულ არ ასხია. თხილს კი ზოგან კაი პირი უჩანს. ერთი სიტყვით ამინდი თუ არ იცვალა გურიას შიმშილის აჩრდილი თავს დასტრიალებს.

გაჭირვებული ხალხი დღესაც განსაცდელშია, რადგან გარედან სიმინდის შემოტანის ნება არ დართეს, გურიაში სამყოფიაო (ეს მართალიც არის) შინაურობაში სიმინდი გააძვირეს და ფუთს 4—5 მან. ჰყიდიან. ბევრს ბაზარშიაც არ გამოაქვს და შინ უნდა ეხვეწო მომყიდეო. პურის ფქვილიც ყველა კოოპერატივს შემოელია და არც იმედია შოვნისა. ქ. ოზურგეთში მარტო კოოპერატივს ფურნე ხურდება და თითოეულ მუშტარს 2—3 გირვანქის მეტს არ აძლევს—მეთორნეები მჭადის კვერებს აცხობენ. შაქარი ჯერჯერობით კიდევ იშოვება.

თავისუფლებას მოჰყვა სოფლად პოლიტიკურ ორგანიზაციების კარების გაღება—თითქმის ყველა ეწერება პარტიაში. ქალებმაც დაარსეს ქალთა წრეები—იკრიბებიან, ირაზმებიან, გათვითცნობიერებას სცდილობენ. ყველა ეს ძლიერ კარგი და სასიამოვნოა, მაგრამ არც გადაჭარბება ვარგა და არც ოჯახურ საქმეზე ხელის აღება.

გარდა ამისა სასურველია, ვიდრე ჩვენი ქალები პოლიტიკურ საკითხების შესწავლას შეუდგებოდნენ, შეიგნონ ადამიანის არსებობის ანბანი—დედის როლი, ოჯახური მეურნეობა, ჰიგიენა და სხვა.

წარმოდგენები გურიაში უწინაც ხშირად იმართებოდა და ახლა ხომ ყველა სოფელში თითქმის ყოველ კვირა იმართება. ერთი შეხედვით

ეგეც სასიამოვნოა, მაგრამ თავისი ნაკლი ამასაც აქვს. ჩემის მტკიცე რწმენით სოფლად წარმოდგენები უნდა იმართებოდეს დღისით, კვირაობით, თუ ეს არ მოხერხდება, მაშინ შაბათს საღამოს, თორემ დამსწრეთ ორშაბათი დღე უცდებათ და ეს დიდ ზარალს იწვევს. წარმოდგენებს აუარებელი ხალხი ესწრება, ღამით სოფლის ოღრო-ჩოღრო გზებში ხეტიალი ძნელიც არის და ათასგვარ ჭორებსაც იწვევს, რასაც ოჯახებში განხეთქილება შეაქვს. საჭიროა კომისარიატმა ამას ანგარიში გაუწიოს და უნებართვოთ წარმოდგენები არავის გაამართვინოს, საჭიროა ანგარიშის ჩამორთმევაც და მასთან არ შეიძლება დრამების წარმოდგენის ნება ყველას მიეცეს, ვაი თუ უკბილო „არტისტებმა“ ხალხს ხელოვნება შეაძულონ.

სიამოვნებით უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ გურულები თავიანთ არჩეულ პირებს სრულის ნდობით ეპყრობიან. არავითარი ურიგო საქმე, ძალადობა, ტყის გაკაფვა, მამულის მითვისება, ცარცვა-გლეჯა და სხვა უმსგავსი საქმე ჯერ არსად მომხდარა. ჩვენ სრული იმედი გვაქვს აღმასრულებელი კომიტეტები ხალხის ნდობას გამოიყენებენ ხალხისავე საკეთილდღეოდ. ამისთვის კი საჭიროა კომიტეტები ახლავე შეუდგნენ გზების გაკეთებას და სამეურნეო სკოლების დაარსებას. გურულები პირდაპირ შეშლილნი არიან გიმნაზიით და მსგავსი სასწავლებლებით, სამეურნეო განათლების მისაღებათ კი შვილებს რუსეთში ჰგზავნიან.

მაისის 28 ოზურგეთის ახალ თეატრში სოც.-დემოკრ. ორგანიზაციამ გამართა სოც.-დემ. საღამო. მოწვეული იყო ჟენევიდან ახლად დაბრუნებული ემიგრანტი ვიქ. თევზაია, რომელმაც ილაპარაკა დემოკრატიულ რესპუბლიკის შესახებ და მჭევრმეტყველურად გაატარა ის აზრი, რომ ჩვენთვის სასურველია დეცენტრალური რესპუბლიკა. საღამოს აუარებელი ხალხი დაესწრო და ორი იმდენი უადგილობის გამო გარეთ დარჩა. ეს იმის მომასწავებელია, რომ ოზურგეთი სახალხო სახლს საჭიროებს.

თიბათვის 4 სოფ. სამლთოში ოზურგეთის სცენის მოყვარეებმა წარმოადგინეს „ქრისტინე“. სკოლის აივანზე სცენა იყო გამართული, ხალხი კი გარეთ ისხდა. სოფლად ამდენი ხალხის დასწრებას ჩვენ არ ველოდით.

ა. წ—ძე.

საინგილოდან აფხაზეთამდის

დროებით გავშორდი საინგილოს, სადაც ბოლო დროს ცხოვრება მეტად აშფოთდა და შეუძლებელი გახდა. რამდენადაც ტურფაა, კეკლუცი და მიმზიდველია საინგილო, იმდენად გაუნათლებელია, განუვითარებელი მისი შვილნი. სად არის აქ ხსენება რომელიმე პარტიისა ან ორგანიზაციისა? არსად. საბრალო ინგილო დღეს მარტო იმაზედ ჰფიქრობს, რომ როგორმე თავი დაიცვას მეზობლებისგან. მისი მეზობლები კი თავიდან-ფეხამდის იარაღდებიან, უკანასკნელ კამეჩსა და ხარსა ჰყიდიან და თოფ-იარაღსა ყიდულობენ. ინგილოსაც ეშინიან, თრთის, ვერ გაუგია რისთვის და რათ ისხავს იარაღს მისი მეზობელი. უკანასკნელმა ამბებმა, რაზედაც წინა წერილში მოვიხსენიე, სულ დააფრთხო საწყალი.

ნაღვლიანი გავშორდი საინგილოს, გულში რაღაც შიში მეპარებოდა და ვფიქრობდი, ნუ თუ ის ძველი დრო დაუდგებათ საბრალოებს, როცა ცალ ხელში იარაღი ეჭირათ და მეორე ხელში ბარი და სახნისი და ასე ვაინაჩრომბით სწევდენ გატანჯულ ცხოვრებას? ინგილოს გულში შიში დიდათ არის შეჭრილი. ლაგოდეხში გავიგე, რომ წინა დღით ერთი ფურგუნი იარაღი დაეჭირა კომიტეტს, რომელიც თბილისიდან ჭარ-ბელაქნისაკენ მიჰქონდათ. თოფები და ტყვია-წამალი ხელოვნურად ყოფილა ჩაწყობილი ჩაის იაშიკებში და გარეგნობით არაფერის შეტყობა არ შეიძლებოდა თუ იარაღი იყო შიგ მოთავსებული.

ლაგოდეხი და მისი მიდამო ბევრი რამით არის საყურადღებო. აქაურობა ერთს დროს მჭიდროთ იყო დასახლებული ქართველებით და ქართველთა მაჯის ცემა სდუღდა და გადმოდიოდა აქა, ყველგან მთაში და ბარში უხვად არის მოფენილი ქართველი ეკლესიები, ციხე-კოშკები, ნაოჯახარი და სხვა მრავალი უტყუ მოწმენი ქართველთა დიდებული წარსულისა. მაგრამ დღეს, აი, ამ ქართველთა მიწა-წყალში, ქართველთა ძვლებითა და სისხლით მორწყულს ადგილში, მას ნება არა აქვს ერთი დღის ტალახი მაინც იქონიოს. მაგონდება ახლო წარსული ქართველთა კოლონიზაციისა ლაგოდეხის მახლობლად მწიმის წყალზედ ამ რამდენიმე წლის წინედ უმიწა-წყლობით შეწუხებული 60 ოჯახი გურჯაანელი და სხვანი დაესახლნენ, გაჩეხეს უღრანი ტყეები, გასწმინდეს იქაურობა და ჩასდგეს სახლები. მაგრამ, ვარანცოვ-დაშკოვის რეჟიმის წყალობით ისინი აჰყარეს გაკეთებული ადგილებიდგან და მათი ადგილი, მათის ოფლითა და შრომით გაკეთებული ადგილები ვორონცოვის მეფაიტონეებს გადასცეს და დაასახლეს. გულსაკლავი იყო ეს სურათი, როცა პოლიცია ძალით უნგრევდა აშენებულს სახლ-კარს აწიოკებდა და ერეკებოდა.

ლაგოდეხიდან იწყება რუსების სოფლები. სოფელი სოფელს მისდევს, უბანი უბანს და ასე თითქმის ალაზნამდის. ყველა ეს სოფელი მიწითა და ადგილ-მამულით გამძღარია იმ დროს, როცა ქართველ კაცს ნება არ აქვს ამავე ადგილებში ცარიელა სახლი ჩასდგას.

ირგვლივ ლაგოდეხიდან დაწყებული სიღნაღამდის ყველგან, სადაც კი თვალი მიგიწვდებათ თამბაქოს უშველებელი პლანტაციებია. ყველგან ეს თამბაქო, თამბაქო დაუსრულებელი და გაუთავებელი. მართალია ეს მხარე თამბაქოს სამშობლოა, კარგი ღირსებისაც და უხვიც მოდის, მაგრამ მგონია ამდენი თამბაქო აქ დათესილი არას დროს არა ყოფილა რამდენიც წელს არის, თამბაქოს უშველებელს მინდვრებში თითქმის არსად სჩანს პურის ნათესები და მხოლოდ ღა სიმინდი თუ გამოიყურება აქა-იქ მორცხვად. როცა ვიკითხე, რატომ პურს არა სთესთ თამბაქოს ნაცვლად მეთქი, ერთმა პლანტატორმა მიპასუხა:

— პური რომ 25 მანეთადაც გავიდეს ფუთი, მაინც თამბაქოს თესვა სჯობს, იმოდენა გარჩევა აქვსო.

ამისდამიხედვით მუშის ხელფასმა პლანტაციებზედ მეტად აიწია. მოზრდილი კაცი დღეში 10 მანეთს იღებს, ხოლო პატარა ბიჭები 5—7 მანეთს, და პურიც მეთამბაქოემ უნდა აჭამოს. ძვირია მუშა ხელი, მაგრამ სხვაც ძვირია. ერთმა კაცმა შემომჩივლა ფუთი ფქვილი მინდა 14 მანეთს დიდი სიამოვნებით მივცემ, მაგრამ ისიც ვერსად მიშოვნიაო. ასეა ყველგან.

მივუახლოვდით კახეთის რკინის გზას. ბევრი რამის მთქმელია ეს რკინის გზა და უმთავრესად იმისა, რომ ჩვენ არავითარი უნარი კომერციისა არ გაგვაჩნია და კახეთის რკინის გზაც ამისი შედეგია, რომელიც თურმე ზარალის მეტს არაფერს იძლევა. გარდა ამისა კახეთის რკინის გზა მეტად მოუწყობელია. წნორის წყლის სადგურზედ რომელიც ყველაზედ უფრო შემოსავლიან სადგურად უნდა ჩაითვალოს არც ფოსტა არსებობს არც ტელეგრაფი. ზამთარ-შემოდგომით აქ ბევრი მოვაჭრე ხალხი იყრის ხოლმე თავსა და აი მათთვის ზღაპრულ მანანასავით საჭიროა ფოსტა-ტელეგრაფი, მაგრამ იგი ახლოს არსად არსებობს და კაცმა 15 ვერსი უნდა გაიაროს, სიღნაღში მივიდეს და იქ ჰნახავს ფოსტა-ტელეგრაფს. არა ერთხელ გამოუცდია ასეთი გაჭირვება ამ სტრიქონების დამწერს. კახეთის რკინის გზის გამგეობის ვალია რამე ნაირად მოუაროს ამ საქმეს.

საზოგადოთ კახეთის რკინის გზას თავისუფლებისა და სილაღის ელფერი ადევს. აბა შეიხედეთ ვაგონებში, ყველა განცხრომითაა, ზოგი სადილობს, ზოგი კახურს მიირთმევს და მღერის, ზოგი გაჩქარებით ქაღალდს თამაშობს და სხვა. ხშირად ზოგს ვაგონში ორსამ ადგილას ნამდვილი ქეიფია გამართული. მაგრამ მიუხედავად ამისა უწესოება იშვიათია კახეთის რკინის გზაზედ.

აი გაჩერდა სადმე სადგურზედ მატარებელი (ყველა სადგურზედ დიდხანს ჩერდება მატარებელი), ხალხი გამოიშალა, უცებ საიდანღაც ჩნდება გარმონი ან დოლი და ცეკვა-შიკრობა ჩაღდება. ერთს რიგს მეორე სცვლის, მეორეს მესამე მატარებლის ყველა მგზავრი ერთვის ამ საერთო მხიარულობაში. აგერ მოხდენილად თამაშობს ერთი ჯარისკაცი, თავს უკრავს ახალგაზრდა ქალიშვილს და იწვევს საცეკვაოდ. ქალიშვილი არ გასდევს, ყველგან საყვედური გაისმის—ჯარისკაცია, სასიკვდილოდ მიდის და შენ კი არც კი გინდა გაეთამაშო, სირცხვილია, არ იქნება. ქალიშვილიც გასდევს, ხალხი ყაყანს და ტაშის ცემას უმატებს.

სადგურ ახალსენაკზედ ჩამოვშორდით რკინის გზას და სამეგრელოსაკენ გავსწიეთ. თვალწინ გადაგვეშალა საუცხოვო ბუნება და ადგილ-მდებარეობა სამეგრელოსი და ყველაზედ უმეტესად მის საუცხოვო კარ-მიდამო. ღმერთო ჩემო რამოდენა კონტრასტია სამეგრელოსა და საინგილოს შორის. ერთი შეხედეთ მოკოპწიავებულს კარმიდამოს მეგრელისას, სუფთას, მორთულს, მის პატარა ოდას, რომელიც მორცხვი პატარძალსავით გამოიყურება მწვანე ხეხილთა შორის, მის შიგნით თუ გარედ გემოვნებაზედ მოწყობილს ყოველივე საგანგებო სისუფთავეს და შეადარეთ ყოველივე ეს საინგილოს. რო გამახსენდება, რომ მთელს საინგილოში ერთს სახლსაც ვერ იშოვნით ასე კოპწიას, მოხდენილს და მით უმეტეს სუფთას, უნებლიეთ ვაძლევ ჩემს თავს კითხვას, როგორ ვერაფერი ვერ ვისწავლეთ ერთმანეთისაგან, როგორ ვერავის ვერ წავბაძევით და ვისწავლეთ რამე ინგილოებმა. აყროლებული, აშმორებული კარმიდამო ინგილოებისა, საიდგანაც მთელის წლობით საქონლის განავალი დაგროვილია, ჰყარს და ჰაერსა სწამლავს, სახლში საშინელი და აუწერელი უსუფთაობა, მიწის იატაკი, რომელზედაც ყოველივე ნარეცხი და უსუფთაობა ღვრება და იმავე იატაკზედ იძინებს ღამითაც, ზედაც კიდევ ინგილოს უსუფთაო ქონით გაპოხილი ჩოფუხი ან ტუბაქი აცვია. აი ინგილოს მუდმივი სადა ცხოვრება. არ გეგონოთ ინგილო მეგრელზედ ღარიბი იყოს, არა და ათასჯერ არა, ინგილო მდიდარია შედარებით, მაგრამ არა აქვს შნო და უნარი უკეთესს ცხოვრებისა.

ეტლი მიჰქრის ზუგდიდისაკენ. თვალუწვდენელი მინდვრები დაუთესავია, სიმშილი აუცილებელია. რა ამბავია ვეკითხები მგზავრებს, მამულები რატომ არ დაუთესნიათ.—ვინ უნდა დასთესოს, ბატონო მეუბნება ერთი, ხალხი სულ ომშია წასული, შინ აღარავინ დარჩა ქალების მეტი, ისინი კი მინდვრათ ვერ მუშაობენ და ასე ვართ დარჩენილნი, არ ვიცით რა მოგველის.

სიმშილი აუცილებელია, ჯერ ეხლავე ფუთი სიმინდი 6—7 მანეთად და მეტადაც იყიდება. ზუგდიდში ცოტაოდენს ყველსა და სიმინდის მჭადში 3 მან. და 50 კ. გვიანგარიშეს. საშინელებაა, სადამდის წავალთ აღარავინ უწყის.

გზებზედ პოლიტიკურსა და პარტიულს ლაპარაკს დასასრული არა აქვს, ხშირად ჩხუბათაც იქცევა ხოლმე პარტიული ლაპარაკი.—თქვენ რომელი პარტიის ბრძანდებით. მეკითხება ერთი.—ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიისა, მიუგე მე.—მაშ მემარჯვენე ყოფილხართ.—რანაირად, გაკვირვებული ვეკითხები მე.—თქვენ ავტოკეფალიასა და ავტონომიას თხოულობთ, სამღვდელოებისა და თავად-აზნაურობის სურვილს მისდევთ, მაშ ეს რა არის თუ არ მემარჯვენეთაკენ გადახრა. ვუხსნი ყველაფერს, ვეუბნები, რომ შემცდარია და საქმე ისე არ არის როგორც მას წარმოუდგენია.

— სცდებით, უპასუხა ჩემს მაგიერ, ერთმა მეგრელმა, რომელიც ჩვენს ლაპარაკს ყურს უგდებდა, ეროვნულ-დემოკრატიულ, პარტიას ჩვენში ეხლა ბევრი მიმდევარი ჰყავს, ჩვენი მეგრელი სპირიდონ კედია ერთი მოთავეთაგანია მაგ პარტიისა, ცუდი პარტია რომ ყოფილიყო ის იქ მოთავეობას არ დაიწყებდა, დაათავა იმანვე.

აგერ შორით, გამოჩნდა ილორის დიდებული სიწმინდე, გულის ფანცქალით შევედი მის წმინდა წიაღთა შორის და მდაბლად თაყვანი ვეცი მის წარსულს დიდებას. მეინტერესებოდა მისი სვე-ბედი და მაშინვე მივმართე იქვე მდგომ მედავითნესა და მნათეს:

— მართალია გაზეთში გავრცელებული ხმები, რომ ამ ძველს დიდებულს ქართველთა სიწმინდეში სლავურად სრულდება წირვა-ლოცვა მეთქი?

— რასა ცხარობთ ყმაწვილო, მომიგო ერთმა მათგანმა, აქაურებს სულ ერთია არც სლავური ეყურებათ არც ქართული, იმათთვის სულ ერთია რომელზედაც უნდა ილოცოთ.

— მე მაგას არ გეკითხებით, ბრაზმორეული მიუგე, თქვენა გთხოვთ პირდაპირ მომიგოთ საკითხზედ, სლავურადა სრულდება წირვა-ლოცვა თუ არა?

— დიახ, იყო რამდენჯერმე სლავურ ენაზედ წირვა-ლოცვა აფხაზი მღვდელი იყო გამწესებული და ისა სწირავდა სლავურად, რადგანაც ქართული არ იცოდა, ეხლა მღვდლათ ხელაიაა დანიშნული და წირვა-ლოცვაც ქართული იქნება.

გულდაწყვეტილი გამოველ სამეგრელოს ამ წმიდათა-წმინდა ადგილიდამ. გამაკვირვა და გამაოცა ეკლესიის მსახურთა ამ გვარმა პასუხმა, თუ ეკლესიის მსახურნი ტომით ქართველნი ამას მოგახსენებენ, მაშ რაღა პასუხი უნდა მოვსთხოვოთ სხვებსა. იმედია საქართველოს კათალიკოსი ჯეროვანს ყურადღებას მიაქცევს ამ გარემოებას, რათა კვალად აღარ განმეორდეს ამგვარი ამბები.

ეტლი წინ მიჰქრის. აგერ სამურზაყანო, აგერ სოხუმის მიდამოებიც. აქაც უშველებელი მინდვრები თამბაქოთი დათესილი, ბარი, მთა თითქმის უმთავრეს შემთხვევაში თამბაქოს უჭირავს.

სოხუმში მაშინ მივედით, როცა ავტოკეფალიის შესახებ ცხარე კამათი იყო გამართული. აფხაზებმა ლოზუნგად თავისი ეკლესიის ავტოკეფალობა წარმოადგინეს, მათ არა სურთ არც საქართველოს ეკლესიასთან შეერთება და მით უმეტეს რუსეთთან. საბუთად იმას ასახელებენ, საქართველოს ეკლესიასთან, რომ შევერთდეთ, მაშინ საქართველოს ავტონომიაც თუ გამოცხადდა ჩვენც იმაში მოგვათავსებენ და რადგანაც ჩვენში ბევრი მამულია ქართველები მოვლენ და ჩამოგვესახლდებიანო, გარდა ამისა ამბობენ იგინი, საქართველოს ეკლესიის დამოკიდებულებასთან ერთად ისინი თავიანთს მღვდლებს, სასულიერო გამგეებს გამოგვიგზავნიან და ეს ჩვენთვის სასურველი არ არისო. კრებას დაესწრნენ მოსული ქუთაისის თავად-აზნაურობის წინამძღოლი, პარ. გოთუა, შ. ქარუმიძე და სხვანი. ბოლოს კრებამ კომისია ამოირჩია რომელსაც მიანდო შემუშავება იმ პირობებისა, რომელშიაც შესაძლებელი იქნება განხორციელება აფხაზეთის ეკლესიის ავტოკეფალიისა.

ზ. ედილი.

პასუხად შ. ასათიანს

წერილი რედაქციის მიმართ

ბ-ნო რედაქტორო! ნება მიბოძეთ ორიოდე სიტყვა მოვახსენო ბ. შ. ასათიანს:

„სახალხო ფურცლის“ 188 №-ში დაბეჭდილი იყო შ. ასათიანის ცნობა, იმის შესახებ, რომ ქალაქის ასაწერ ქაღალდების ჩუმად გამყიდველი ს. დანელია ვითომც ეროვ.-დემ. პარტიის კონფერენციაზე დელეგატათ იყოს არჩეული.

არ ვიცი ვინ მისცა ბ. შ. ასათიანს ამისთანა ყალბი ცნობა. შეიძლება დანელია ჩვენი თანამგრძნობი იყვეს და მართლაც იგი ეროვ.-დემ. მოწაფეთა კომიტეტის მოსაწვევ ბარათებს არიგებდა. აი მისი დამოკიდებულება ჩვენს პარტიასთან, ჩვენს წრესთან (ამის შემდეგ არც ეს ექნება). მაგრამ დელეგატათ არავის ამოურჩევია და არც არავინ ამოირჩევდა.

თქვენა სწერთ: „მითხრეს ეროვნულ დემოკ.-თა კონფერენციაზეა არჩეული დელეგატათო“. ჩვენც ბევრს ჭორებს გვეუბნებიან, მაგრამ გაზეთებს არ ვავსებთ ამგვარ ცნობებით. ყურ-მოკრული სიტყვები და გამოურკვევლად მისი წამოსროლა ბევრჯელ ცუდ მდგომარეობაში ჩაგაყენებთ.

ეროვნ.-დემ. მოწაფეთა კომიტეტის თავმჯდომარე **ნ. კეცხოველი.**

წერილი რედ. მიმართ

ბატონო რედაქტორო!

ამასთანავე მოგართმევთ 75 მანეთს, რომელიც მიბოძა ერთმა პატივცემულმა პირმა გაზეთ „საქართველოს“ ფონდისთვის.

ნ. ლორთქიფანიძე.

ამიერ-კავკასიის რკ. გზის

მატარებლების მიმოსვლა

(დრო ნაჩვენებია თფილისის)

თფილისიდან გადის:

ბათუმისკენ	საფ.	№ 3,	11.03	დღ.
„	სამგზ.	№ 9,	11.43	საღ.
ბორჯომისკენ	სამგზ.	№ 19,	3.20	დღ.
„	„	№ 17,	3.27	დღ.
გორისაკენ	სამგზ.	№ 61,	9.10	დღ.
ბაქოსაკენ	ჩქარ.	№ 6,	9.20	დღ.
„	სამგზ.	№ 8,	3.54	დღ.
„	საფ.	№ 4,	9.28	საღ.
ყარსისაკენ	სამგზ.	№ 4-8,	11.13	საღ.

თფილისში მოდის:

ბათუმიდან	სამგზ.	№ 10,	7.51	დღ.
„	საფ.	№ 4,	8.38	საღ.
ხაშ.-ბორჯ.	სამგზ.	№ 20,	7.43	დღ.
„	სამგზ.	№ 18,	10.12	საღ.
გორიდან	სამგზ.	№ 62,	6.34	საღ.
ბაქოდან	საფ.	№ 8,	10.08	დღ.
„	სამგზ.	№ 7,	4.12	საღ.
„	ჩქარ.	№ 5,	10.40	საღ.
ყარს-ჯულფ.	საფ.	№ 3***,	8.10	დღ.

თბ. გუბერნიის თავად-აზნაურობის წინამძღოლი
აცხადებს, რომ კვირას, 11 ივნისს, დილის 11 საათზე,
ახალ კლუბის დარბაზში, დანიშნულია
წლიური საგუბერნიო კრება
ქართლ-კახეთის თავად-აზნაურობისა.
კრების განსახილველია:

1) 1916 წლის შემოსავალ-გასავლის ანგარიში და 2) 1917 წლის სავარაუდო შემოსავალ-გასავლის ხარჯთ-აღრიცხვა (იგულისხმება, სხვათა შორის, დახმარების დანიშვნა სხვა და სხვა საზოგადო საგანმანათლებლო და საკულტურო დაწესებულებათათვის, როგორც, მაგალითად, ქართულ გიმნაზიისა და სხვა სასწავლებელთათვის, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების, საისტორიო და საეთ. საზ. ქართულ სადრამო საზ. და სხვათათვის).
2—704—4

მიიღება ხელის მოწერა 1917 წ.
საქართველოს „სოციალ-დემოკრატიულ პარტიის“ (ავტონომისტთა) გაზეთ
„ხალხის თავისუფლება“-ზე
(წელიწადი პირველი. გამოდის კვირაში ორჯერ)

ივ. გომართელის მახლობელი და მუდმივი მონაწილეობით, მუშათა და ჯარისკაც წრეთა თანამშრომლობით დ იოსებ იმედაშვილის რედაქტორობით.

გაზეთის მიზანია: მუშათა ხალხის სამსახური, ეროვნულ საკითხის მუშური თვალსაზრისით გაშუქება, ავტონომისტების გაერთიანება და საქართველოს ტერიტორიალურ ავტონომიის პოპულარიზაცია ხალხში.

გაზეთის ფასი: ამა წლის ბოლომდე—5 მან., თითო ნომერი 5 კ. ხელის მოწერა მიიღება რედაქციის საკუთარ ბინაზე (ბაზრის ქ., № 20, ნ. არჯევანიძის სახ. ალექსანდრეს ბაღის თავში) და „სორაპნის“ სტამბის კანტორაში, მისამართი: Тифлисъ, Ред. „Халхисъ Тависуфлеба“ I. Имедашвили.
(10—638—12)

1917 წ. მიიღება ხელის მოწერა
დასურათებულ საყმაწვილო ჟურნალ
„ნაკადულ“-ზე
წელიწადი მეთორმეტე

ჟურნალი „ნაკადული“ გამოვა ჩვეულებრივი პროგრამით, საგანგებოდ მოწვეულ სარედაქციო კომისიის ხელმძღვანელობით.

ჟურნალი გამოდის თვეში ორჯერ

24 წიგნი „ნაკადული“-სა მცირე წლოვანთათვის. 12 წიგნი „ნაკადული“-სა მოზრდილთათვის.

ყოველი წიგნის 1-ლ გვერდზე იქნება მოთავსებული გამოჩენილ მხატვართა ნახატი

ფასი ჟურნალისა: წლიურად ორივე გამოცემა—5 მან. იმათთვის, ვინც ჟურნალს რედაქციაში მოიკითხავს, გაგზავნით კი 6 მან. ნახევარ წლით—3 მ. გაგზავნით 3 მ. 50 კ., ცალ-ცალკე: მცირე წლოვანთათვის 24 წიგნი 3 მ. გაგზავნით 3 მ. 50 კ. მოზრდილთათვის 12 წიგნი—3 მან. გაგზავნით 3 მ. 50 კ. ფულის შემოტანა შეიძლება ნაწილ-ნაწილადაც.

ფოსტისთვის: Тифлисъ Головинскій пр., 8. შემოსასვლელი დავითის ქ. № 2.
დაწვრილებით ჟურნალში. რედაქტორი ნინო ნაკაშიძე
გამომცემელი თ-დ პავლე იოსების-ძე თუმანიშვილი.
(291—38)

საავადმყოფო
სამხედრო ექიმ სპეციალისტებისა მოსიარულე ავადმყოფებისთვის:
დიდი ვანქის ქუჩა № 3. ალექსანდრეს ბაღის ახლო, ტელეფონი 431.
ავადმყოფების მიღება: დილის 10 საათიდან 5 საათამდე.
ბელანჟე—ბავშვთა შინაგან ავადმყოფობისა. ღებულობს 10—12 ს. ყოველდღე.
გეინაცი—თვალის ავად. 2—3 საათ. ორშაბათობით და ოთხშაბათობით.
ასპისოვი—ყელის, ყურის და ცხვირ. 1—2 საათ. ორშაბათ. და ოთხშაბათ.
ფირადოვი—ქირურგ. ავად. 12—1 საათამდე.
მონსე—ბავშვთა შინაგან ავად. 1—3 საათამდე ყოველ დღე.
ჩუდნოვსკი—შინაგან და ნერვიულ ავად. 12—1 საათ. ხუთშაბ. და კვირაობით.
ბეგზადოვი—ქალთა და საბებიო ყოველ-დღე 2—3 საათამდე.
ოხუელიანი—ქალთა დ საბებიო ავად. ღებულობს ორშ., ოთხშ. დ პარ. 11—12 ს.
ნარიმანოვი—ვენერიული ავად. ყოველ-დღე 10—11 საათამდე.
დეკანოზოვი—ქალთა ავად. სამშაფათ. ხუთშაბ. და შაბათობით 12—1 საათ.
ტროიცკაია—ქალთა და ქირურგ. ავად. ყოველდღე ქირურგ. 2—3 საათამდე.
ქალთა ავადმყოფ. 3—4 საათამდე.
ბაგდოევისა—კბილის ექიმი ყოველ-დღე 3—5 საათამდე.
ალიხანოვისა—კბილის ექიმი ყოველ-დღე 10—12 საათამდე.
100—667—19

ხილეული, მადნეული წყლის მხმარებელი საზოგადოების ჯანმთელობის ინტერესი მოითხოვს: მოითხოვონ და სვან ყოველთვის მხოლოდ მიტროფანე ლაღიძის და ამხ-ს კარხნის საუკეთესო ხილეულ მადნეულის ნამდვილი სამკურნალო წყალი და გაუფრთხილდენ, მის ყალბ მიმბაძველებს, რომელთა რიცხვი ერთობ გახშირებულია და ხშირად შეცდომაში შეჰყავთ, მხმარებელი საზოგადოება, თავიანთი დაბალი ნაწარმოების ყალბი ეტიკეტების მიმსგავსებით ნამდვილი ლაღიძის წყლის ეტიკეტის ნიშანი შემდეგია

ქართულად თავმორთული ქალის სურათი, რომელიც დამტკიცებულია სავაჭრო ხამრეწველო მინისტრის მიერ პეტროგრადში დ თვით პრობკებსაც აწერია
„ლაღიძის წყალი“

ქუთაისში
ქარხანა
თბილისში

მხოლოდ და მარტო ლაღიძის წყალია მომზადებული სრულიად უვნებელის მაღალი ღირსების მასალებისაგან, ნამდვილი და საუკეთესო ხილის წვნით და მასთანვე
სუნი და გემოც საამური აქვს.
წლ.

თევზის მრეწველნი
ძმ. ძებეილოვები
პუშკინის ქუჩა, საკუთარი სახ., № 8, ტელეფონი № 712.

ყოველ დღე მოგვდის საკუთარი და სავაჭრო სახლ. „ძ. [illegible], [illegible] ახალი ქვირითის [illegible], მცირე მარილიანი, შავი „[illegible]“ ხიზილალა. მივიღეთ საუკეთესო [illegible] მუდმივ გვაქვს ცოცხალი თევზი. აგრეთვე ახალ-ახალი [illegible] თევზი, თართი, [illegible] და ლოქო, გვაქვს აგრეთვე მიღებული [illegible] კონსერვები და [illegible] რუსეთის და საზღვარ-გარეთის ფირმების ნაწარმოები [illegible]. (წ.)